# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 3 ივლისი, 2010 წელი.

№124 (6490)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## რას გვაუწყებს FREEDOM HOUSE-ის კვლევა...

### რას გვატყუებს ხელისუფლება



*Freedom House – (FH, „თავისუფლების სახლი“ძ – არასამთავრობო ორგანიზაცია ცენტრალური ოფისით ვაშინგტონში (აშშძ. დაარსდა 1947 წ. დაკავებულია სამოქალაქო-პოლიტიკურ თავისუფლებათა და უფლებათა კვლევით (1978 წლიდანძ. ფინანსდება ძირითადად აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID — US Agency for International Development) და აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს (USIA — US Information Agency) მიერ, ასევე რიგი ფონდების მიერ, მათ შორის „Soros Foundations“, „Ford Foundation“, „National Endowment for Democracy“, „Eurasia Foundation“ და სხვ.*

**„სინუსოიდა“ ძალიან მარტივად რომ ავხსნა, გულის კარდიოგრამას ჰგავს. აი ისეთს, რომელსაც ხშირად ვხედავთ სხვადასხვა მძაფრსიუჟეტიან ფილმში.**

იგივე „სინუსოიდას“ ასევე ხშირად ვხედავთ ქართული რეალობის ამსახველ საინფორმაციო გამოშვებებში.

მდგომარეობის რეალური მაჩვენებლის ნიშნულის აწევ-დაწევა, ანუ სხვადასხვა სპეციალისტების მიერ, დღევანდელ საქართველოში არსებული ვითარების შეფასების აშკარა კონტრასტი, „ფრიდომ ჰაუსისა“ და საქართველოს ხელისუფლების დასკვნებშიც ჩანს.

თუ საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებს, რომ **„ძალიან მაგრად ვართო, კორუფციას და სიღარიბეს ბოლო მოვუღეთო, დემოკრატიის ხარისხი უმაღლეს ნიშნულზე ავიყვანეთო და ძალიან მოკლედ რომ ვთქვა, საქართველოში ბიბლიური სამოთხე დავამყარეთო,** ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის **„ფრიდომ ჰაუსის დასკვნით“, ყველაფერი აბსოლუტურად საწინააღმდეგოა.**

თუ შევადგენთ გრაფიკს იმ შეფასებებზე, რასაც ჩვენი ხელისუფლება და დასავლური ორგანიზაციები იძლევიან, ისეთ „კარდიოგრამას“ მივიღებთ, რომ ნებისმიერი, ყველაზე დაბალი კვალიფიკაციის ექიმის შეფასებითაც ავადმყოფს, ანუ საქართველოს, ისეთი ინსულტი დაემართა, რომლიდანაც, სამწუხაროდ, ვერ გამოდიან.

ზუსტ ინფორმაციას და ანალიზს სამშაბათის ნომერში მოგაწვდით.

**გია გაბრიჭიძე.**



ნესტან კირთაძე:

## არ არის საჭირო, ჰილარი კლინტონისგან ვისმინოთ, როგორი უნდა იყოს საქართველოში დემოკრატია ②

## რატომ არ უნდა ჰქონდეს საქართველოს ნატოს იმედი? ⑧



## თურქმენისკენ და ირანისკენ გაწვდილი სააკაშვილის ხელი ⑧

## მაშავერას მადნეული წამლავს, საზოგადოებას ...მაშავერა, ეკოლოგიის მინისტრი კი ამ დროს სიმღერებს წერს ⑤

## როგორც ჩანს, უმუშევართა დიდ არმიას საქართველოში 25 ათასი მასწავლებელიც ③ მიემატება

## გაუფასურებული ლარისგან გაუფასურებული ცხოვრება ③

## „ავერსის“, გნებავთ „პსპ“-სა და „ჯიპისი“-ს ხელმძღვანელთ ავიწყდებათ, რომ მხოლოდ ბიზნესის კეთება კი არ ევალებათ, ④ არამედ პასუხისმგებელი არიან ერის წინაშეც,




### ანუ პასუხი ერთი პუბლიკაციის გამო



კიდევ ერთი ჩანართი — „კვირამალს საკითხავს“ მიჩვეული ⑥ მკითხველისთვის

ოპოზიცია

# ნესტან კირთაძე: არ არის საჭირო, ჰილარი კლინტონისგან ვისმინოთ, როგორი უნდა იყოს საქართველოში დემოკრატია

## თქვენი პროექტია სააკაშვილი და თქვენვე დაასრულეთ!

**შედეგი ის იქნება, საქართველოში თუ ხელისუფლება შეიცვლება — ასეთი კომენტარი გააკეთა ჰილარი კლინტონის საქართველოში მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ. ამ სიტყვებში უჩვეულო არაფერია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ორშაბათის შეხვედრაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ნესტან კირთაძე პირადად განუცხადებს ამას და მეტიც, ის პირდაპირ დაადანაშაულებს თეთრი სახლის ყოფილ და ამჟამინდელ ადმინისტრაციას იმაში, რაც საქართველოში ამ შვიდი წლის განმავლობაში ხდებოდა.**



**— ქალბატონო ნესტან, მომეჩვენა, რომ ძალიან თავდაჯერებულად უყურებთ ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტის შემდეგ ხელისუფლების შეცვლას. თქვენი პარტიისგან კი ყოველთვის გვესმოდა, რომ ჩვენი ქვეყნის ბედი არ არის დამოკიდებული სხვა ქვეყნის ლიდერებზე, ის ქართველმა ხალხმა უნდა განსაზღვროსო. ახლა რა მოხდა?**

— ცხადია, ვერავითარი სხვა ხელისუფლება ვერ შეცვლის ჩვენს ბედს სასიკეთოდ. მაგრამ, როცა ჩვენ ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებს მივმართავთ და ვეუბნებით, რომ რეალური შედეგი იქნება ამ ხელისუფლების შეცვლა, ვგულისხმობთ ძალიან ბევრ ასპექტს. ძალიან კარგად ვიცით, რომ სწორედ წინა ადმინისტრაციის — ბუშის პროექტია მიხეილ სააკაშვილი. „ვარდების რევოლუციით" მივიღეთ ერთპიროვნული მმართველობა, რომელიც შორს არის დემოკრატიისგან, მივიღეთ არშემდგარი სახელმწიფო, დაშლილი ქვეყანა. ამიტომ, ახლა ნამდვილად არ არის საჭირო, ჰილარი კლინტონისგან და მისი რანგის პოლიტიკოსებისგან ვისმინოთ საუბარი იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოში დემოკრატია.

**— ანუ, თქვენ ამბობთ, რომ ჰილარი კლინტონმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება (ბუნებრივია, თეთრ სახლთან შეთანხმებითძ — შეიცვალოს თუ არა ხელისუფლება საქართველოში?**

— ასიათასობით ქართველი ადამიანი ბოლო წლების განმავლობაში გამოდის ქუჩაში და ითხოვს ხელისუფლების შეცვლას, საპროტესტო ხმას აწვდენს მსოფლიოს, რაც სრულიად საკმარისი იყო რეალური, ობიექტური და გამჭვირვალე არჩევნების დასანიშნად, მაგრამ მივიღეთ ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც სააკაშვილმა პირწმინდად წააგო, თუმცა 2008 წლის 6 იანვარს დილით, გამთენიისას, ჯერ კიდევ არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე, ამერიკის პირველმა პირებმა გამარჯვება მას მიულოცეს. ამიტომაც ვეუბნებით მათ: მიხეილ სააკაშვილი თქვენი პროექტია და თქვენვე დაასრულეთ!

**— ე. ი. თქვენ აშშ-ს პირდაპირ დებთ ბრალს და ადანაშაულებთ?**

— არა, არ ვადანაშაულებთ, უბრალოდ რეალობას ვუსწორებთ თვალს და ამას ხმამაღლა ვამბობთ. ჩვენ გამოვხატავთ ქართველი ხალხის ნებასა და სურვილს.

**— ბოლო არჩევნების შედეგების შემდეგ, რამდენად შეძლებთ საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას რეალურად სურს ხელისუფლების შეცვლა?**

— ყველამ კარგად იცის, რომ ბოლო არჩევნები, ეს იყო პოლიტიკური ფარსი. მასში ძალიან ბევრი აქტიური ოპოზიციონერი პარტია არ მონაწილეობდა. თუ საერთაშორისო დამკვირვებლები იმით ხელმძღვანელობენ, რომ არჩევნების დღეს არ იყო ექსცესები და არეულობა, ვეტყვი, რომ სიმშვიდე იყო საბჭოთა პერიოდის არჩევნებზეც, მაგრამ ის არასოდეს ყოფილა ობიექტური.

**— ჰილარი კლინტონისადმი მიმართვის ტექსტში აღნიშნული გაქვთ, რომ დემოკრატიული სამყარო თვალს ხუჭავს საქართველოს პრეზიდენტის დანაშაულებრივ ქმედებებზე. რას გულისხმობთ, რატომ მფარველობს დასავლეთი სააკაშვილს?**

— სწორედ „ვარდების რევოლუციის" გამო. ეს იყო კარგად დაფინანსებული, იდეოლოგიურად კარგად დამუშავებული პროექტი, რომელიც დასავლეთისგან წამოვიდა და არ შობილა ქართველი ხალხის წიაღში. ამიტომაც იკავებენ ისინი თავს კრიტიკისაგან, მაგრამ ამან საფრთხე შეუქმნა არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანას, არამედ გლობალურ პოლიტიკასაც. მით უმეტეს ძალიან ხშირად გაიგონებთ ჩვენთან კითხვას: ეს არის დემოკრატია?! ამან კი თანდათან იმედგაცრუება და გულგატეხილობა დანერგა დასავლური ღირებულებების მიმართ. ასეთი შედეგი მოიტანა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების ყალბმა დემოკრატიამ.

**— თქვენი შეხედულებით, რას ემსახურება ქალბატონი კლინტონის ვიზიტი უკრაინასა და სამხრეთ კავკასიაში, რა მისიით ესტუმრება ის საქართველოს?**

— ჰილარი კლინტონის ვიზიტი გლობალური ინტერესების გამო ხდება. მნიშვნელოვანია ყარაბაღის თემა და სომხეთ-აზერბაიჯანის შემდგომი ურთიერთობა, ბუნებრივია, არსებობს ირანის გამდიდრებული ურანისა და ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საკითხი, ანუ ის ჩამოდის ახლო-აღმოსავლეთის ცნობილი პრობლემების გამო. საქართველოში საუბარი იქნება ზოგადად დემოკრატიაზე, ღირებულებებზე, არჩევნებზე და ა. შ. მაგრამ ამ ვიზიტის ძირითადი სიღრმისეული მიზანი არის კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში და იქ არსებული გამოწვევები.

**— ამბობენ, რომ ქალბატონ კლინტონს მძიმე საუბარი ექნება მიხეილ სააკაშვილთან. ეს ეხება გაზსადენის რუსეთისთვის მიყიდვის შესაძლო ვარიანტს, რაც ძალიან გააღიზიანებს დასავლეთს.**

— გაზსადენის გაყიდვის თემა უკვე დღის წესრიგშია. სააკაშვილი დაადგა დასავლეთის შანტაჟის გზას, თითქოს ყველა იმ კოზირს იყენებს, რაც მას გაუხანგრძლივებს ხელისუფლებაში ყოფნას, მაგრამ გაზსადენი არ არის მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი საკუთრება, მას აქვს გლობალური მნიშვნელობა — ის პრაქტიკულად ცვლის პოლიტიკას და აჩქარებს კონფრონტაციას დანარჩენ სამყაროსა და რუსეთს, დანარჩენ სამყაროსა და ირანს, ან ირანსა და რუსეთს შორის და ა. შ. არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილს ასეთი შანტაჟის პოლიტიკა და ალოგიკური ქცევები მძიმედ შეუბრუნდეს.

სააკაშვილი კრილოვის იგავარაკის გმირს — რძეში ჩავარდნილ ბაყაყს ჰგავს, რომელმაც იმოძრავა, რძე დღვიბა, კარაქად აქცია და ამოხტა, ხოლო მეორე, რომელიც უმოძრაოდ იყო, ჩაიხრჩო. როგორც ჩანს, სააკაშვილი ასეთი მანევრებით ცდილობს თავის გადარჩენას. მაგრამ ყველა მისი გადაწყვეტილება ანტისახელმწიფოებრივია და ვნახოთ, რა გამოუვა.

**— ქალბატონო ნესტან, როგორც ამბობენ, პირდაპირ საუბარს აპირებთ ჰილარი კლინტონთან. აუდიენცია იქნება სხვა ოპოზიციურ პარტიებთანაც. რა შედეგი მოაქვს ასეთი სახის შეხვედრებს? პრაქტიკიდან ჩანს, რომ ასეთი რანგის დიპლომატები ძალიან ზედაპირული კომენტარებით შემოიფარგლებიან და ამით სრულდება ვიზიტი.**

— ხშირად ვესწრები ხოლმე ასეთი რანგის საერთაშორისო შეხვედრებს, სადაც ჩვენი კოლეგები ძალიან ზოგად კომენტარებს აკეთებენ, ამბობენ, რომ არა გვაქვს ქვეყანაში დემოკრატია, არ იყო სრულფასოვანი არჩევნები, ზოგადად ცუდია სააკაშვილი, მაგრამ კონკრეტულად არავინ არაფერს არ ლაპარაკობს, ანუ საკითხთა ნუსხა ძალიან ზედაპირულია. ამიტომ ვაპირებ, პირდაპირ ვუთხრა ამერიკის სახელმწიფო მდივანს: თქვენი ვიზიტის შედეგი იქნება ხელისუფლების შეცვლა! მათთვის, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი „ამორტიზირებულ" პროექტად განიხილება. დასავლეთი დარწმუნებულია, რომ ის არის ავანტიურისტი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ პრობლემები მოაქვს.

**— მედია ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს საქართველო-რუსეთს შორის ახალი ომის საშიშროება არსებობს...**

— დიახ, ამიტომ ჩვენ გავაგზავნეთ სპეციალური განცხადება საგარეო საქმეთა სამინისტროში და მოვითხოვთ, ოფიციალური კომენტარის გაკეთებას — რეალურად საშიშროების წინაშე დგას ქვეყანა, თუ ეს უბრალოდ პიარია, რომელიც ისევ სააკაშვილის ხელისუფლების გახანგრძლივებას ემსახურება? იმას, რომ თითქოს ახლა არ არის საყვედურების დრო, რადგან ქვეყანა ომის საშიშროების წინაშე იმყოფება — ეს არის ფსიქოლოგიური მანევრი — ომისა და მშვიდობის საკითხის მარადიული ფილოსოფია, რასაც კარგად იყენებს სააკაშვილი.

**— რას ფიქრობთ ლეიბორისტები საშემოდგომო საპროტესტო მუხტზე და ოპოზიციის სხვადასხვა გზის ძიებაზე ხელისუფლების შესაცვლელად? აპირებთ თუ არა ამ პროცესში აქტიურად ჩართვას?**

— კოლეგებს წარმატებებს ვუსურვებთ. მაგრამ ჩვენ მუდმივად ვიყავით ჩართული და ახლაც ვაგრძელებთ ოცდაოთხსაათიანი ბრძოლისა და შრომის რეჟიმში ყოფნას. ამ პროცესს ბოლომდე მივიყვანთ და ბოლო ხელისუფლების შეცვლა იქნება.

**— ლეიბორისტები შევარდნაძის ხელისუფლებასაც რადიკალურად ებრძოდით, მაგრამ როცა მისი მმართველობის დასასრული მოვიდა, თქვენ ბოლოს აღმოჩნდით. სხვამ წაგვართვათ ეს მისია. ახლაც რომ იგივე განმეორდეს?**

— არა, სხვამ არც წაგვართვა და არც დაგვასწრო. ჩვენ ის წაგვართვა კონკრეტული ქვეყნის კონკრეტულმა ადმინისტრაციამ — თეთრი სახლის პოლიტიკურმა პროექტმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ფერადი რევოლუციის სახით დაიგეგმა.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად არის მზად აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია საქართველოში ცვლილებებისთვის?**

— ამისთვის მზად არის დრო — დრო თავად კარნახობს ამას. თანაც ბარაკ ობამამ სერიოზული გზავნილი გაავრცელა მთელი მსოფლიოსთვის. მან თქვა, რომ „უნდა შევძლოთ, თვალი გავუსწოროთ ჩვენს შეცდომებს". ამ ნათქვამმა მთელს პლანეტას გადაურბინა. ანუ ამერიკის ადმინისტრაციისთვის შეცდომების გასწორების დრო დადგა ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც...

ესაუბრა
**თეა მოსია**

თვალში — ნაცარი!

# ვისზეა მორგებული საკონსტიტუციო ცვლილებები?

**ოპოზიცია არჩევნებამდე ცდილობდა კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მომზადებული კანონპროექტის განხილვაში თავისი წვლილი შეეტანა. 30 მაისის არჩევნებმა და მისმა შედეგებმა კი საბოლოოდ დაარწმუნა ისინი ამის აუცილებლობაში.**

„ალიანსი საქართველოსთვის" აწ უკვე ყოფილმა პარტიებმა „ახალმა მემარჯვენეებმა" და „თავისუფალმა დემოკრატებმა — ჩვენმა საქართველომ" ერთდროულად გამოთქვეს საკონსტიტუციო კომისიასთან თანამშრომლობის სურვილი. საარჩევნო კანონმდებლობის გარდა, ცვლილებები შეეხება როგორც სახელმწიფოს პირველი პირის უფლებამოსილებას, ასევე ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციის გამიჯვნასა და მთელ რიგ სხვა საკითხებს.

— როგორც იცით, საკრებულოში ალიანსში შემავალმა პარტიებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ამ პოლიტიკური გაერთიანების დაშლის მიუხედავად საკრებულოში ფრაქცია შეექმნათ, რომელსაც დავით საგანელიძე ხელმძღვანელობს. ამიტომ „ახალი მემარჯვენეები" ვაპირებთ, არსებული პრობლემების გადასაწყვეტად საკრებულოს ტრიბუნა აქტიურად გამოვიყენოთ, ასევე აქტიურად ჩავერთვებით კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მომზადებული კანონპროექტის განხილვაში, — განაცხადა „ახალი მემარჯვენეების" წევრმა მანანა ნაჭყებიამ.

აქვე დასძინა, რომ რეგიონებში ადგილობრივ თვითმმართველობების კიდევ უფრო გაძლიერება იგეგმება და ამ მიზნით, ზაფხულის განმავლობაში პარტიის ლიდერები რეგიონებსაც ესტუმრებიან.

საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ოპოზიციის ძირითადი პრეტენზია ისაა, რომ ფიქრობენ, მსგავსი კანონმდებლობის შექმნით მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში ყოფნას გაიხანგრძლივებს. „თავისუფალი დემოკრატები — ჩვენი საქართველოს" მთავარი შენიშვნაც საკონსტიტუციო კომისიის მიმართ ეს საკითხია. ამიტომ პარტიის ლიდერი ირაკლი ალასანია საკონსტიტუციო კომისიას საკანონმდებლო წინადადებას უგზავნის და ახალი კონსტიტუციის საბაზისო პროექტში შეტანას ითხოვს.




როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე პარტიის წარმომადგენლებმა ზურაბ აბაშიძემ და თეა წულუკიანმა განაცხადეს, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია თავის მუშაობაში აშკარად ავლენს არსებული ხელისუფლების ძალაუფლებაში დარჩენის საკანონმდებლო საფუძვლებს და საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს სრულ შესაძლებლობას აძლევს საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ქვეყნის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად დასახელდეს.

„თავისუფალი დემოკრატები" სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას კონსტიტუციის საბაზისო პროექტის მე-5 და 70-ე მუხლების განხილვისას თავიანთი წინადადების შესწავლას სთხოვენ, რომლის მიხედვითაც არავის ექნება უფლება კონსტიტუციაში შეიტანოს ისეთი ცვლილება, რომელიც ნებისმიერ პოლიტიკურ ფიგურას ძალაუფლების გახანგრძლივების საშუალებას მისცემს. ამასთან, ისინი გამოდიან ინიციატივით, რომ საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე მყოფ ნებისმიერ პირს არ მიეცეს საშუალება კონსტიტუციაში შეიტანოს ისეთი სახის ცვლილება, რომელიც მას უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ პრემიერ-მინისტრობის უფლებას მისცემს. პარტიის წევრების აზრით, აღნიშნული შეზღუდვა კონსტიტუციის საბაზისო პროექტში არა გარდამავალ დებულებებში, არამედ ძირითად მუხლებში უნდა ჩამოყალიბდეს.

**თეა წულუკიანი, „თავისუფალი დემოკრატები — ჩვენი საქართველოს" წევრი:** — ავთანდილ დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით მომზადებული კონსტიტუციის საბაზისო პროექტი საქართველოს რყევებისთვის გაწირვაა. მოცემული საკონსტიტუციო პროექტი სამთავრობო კონსტიტუციური მოდელია და არა ქვეყნისთვის სასურველი და მისაღები.

„თავისუფალი დემოკრატები" საკონსტიტუციო რეფორმებთან დაკავშირებით საკუთარ დასკვნას აგვისტოში წარმოადგენენ. საქართველოს კონსტიტუციის საბაზისო პროექტი კი საკანონმდებლო ინიციატივის სახით პრეზიდენტს სექტემბერში გადაეგზავნება.

**ანა წიწილაშვილი**

ფული

**ლარი, თითქოს ნელ-ნელა, მაგრამ მაინც რომ უფასურდება ფაქტია. და ამას იმპორტული თუ ადგილობრივი პროდუქციის გაძვირებითაც ვხვდებით.**

ჯერ იმპორტული, შემდეგ კი ადგილობრივი პროდუქცია იმიტომ ვახსენე ამ თანმიმდევრობით, რომ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სამ მეოთხედზე მეტი სწორედ იმპორტს უკავია, რაც ინფლაციის უპირველესი ხელშემწყობი პირობაა, რომელმაც წლის დამდეგიდან შვიდპროცენტიანს გადააბიჯა. ჩვენთან კი ინფლაციის შემარბილებელი

# როგორ აუფასურებს ცხოვრებას გაუფასურებული ლარი

ინდექსაციის სისტემა არა თუ არ მოქმედებს, არც არასდროს ყოფილა, თუნდაც ხარვეზიანი და ბოლომდე გაუმართავი.

ლარის ინფლაციის პროცესი განსაკუთრებით მძიმედ მოსახლეობის იმ ნაწილზე აისახება, რომელსაც შემოსავალი ეროვნული ვალუტით, ხოლო საბანკო კრედიტი უცხოური ვალუტით აქვს აღებული. საქმე ის არის, რომ ლარის კურსის ვარდნით გამოწვეული დანაკარგის თავიდან ასაცილებლად, ბანკები აბსოლუტურ უმრავლესობა შემთხვევაში სესხებს უცხოური ვალუტით გასცემენ და ამით საინფლაციო ზარალს კლიენტს აკისრებენ, ხოლო, მეორე მხრივ, ასე ვთქვათ, „დაზღვევის დასაზღვევად“ მაღალ განაკვეთს აწესებენ გრძელვადიან კრედიტებზეც კი და რასაც უნდა ბაქიბუქობდნენ, აქაოდა „კაი ბიჭები“ ვართო, ეს მაინც ასეა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ისიც ვთქვათ, რომ მსოფლიოში, ალბათ, ბანკი არ არსებობს, რომელიც შეჭირვებული კლიენტის „დაუძინებელი მეგობარი“ არ ყოფილიყოს. ჰოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბანკების ამჟამინდელ თუ პოტენციურ კლიენტებს კრედიტის აღება ლარით ურჩევნიათ, ამ პირობას ბანკირები, რბილად რომ ვთქვათ, უხალისოდ თანხმდებიან, რითაც საკუთარ რისკს – როგორც ლარის გაუფასურების, ასევე გამყარების პირობებში – მინიმუმამდე ამცირებენ.

თუმცა მთლად არც კომერციულ ბანკებს გაემტყუნებათ,ვინაიდან ყველაფრის თავი და თავი ეროვნული ბანკია, რომლის „დოლარის მოჭერის“ ტაქტიკა და ბოლოდროინდელი მეტად ბუნდოვანი სავალუტო საბირჟო სტრატეგია, რის შესახებ ჩვენი გაზეთი ამ ცოტა ხნის წინათაც წერდა, მეტად გაურკვეველ ვითარებას ქმნის – როდის რა მოხდება იმ 4 ივნისის „შავი პარასკევის“ მსგავსი, მეტ-ნაკლები სიზუსტით ვერავინ იტყვის. თანაც, ეროვნული ბანკი უკვე თითქმის ერთი წელია „იმედს გვისახავს“, რომ ასეთი „რამერუმეები“ შესაძლოა კვლავაც მოხდეს.

ფული, ზოგადად, ეკონომიკის სისხლი რომ არის, ამას მტკიცება არ სჭირდება, უსისხლოდ კი არათუ ეკონომიკის გამოცოცხლება, თავად მისი სიცოცხლეა შეუძლებელი, ამიტომაც არის, რომ თუკი მოქმედ კანონმდებლობას გავითვალისწინებთ, რომლის თანახმად ქვეყნის ტერიტორიაზე ერთადერთი გადასახდელი საშუალება ლარია, მისი დეფიციტი, ერთი მხრივ, ისევ მეწარმეებს აზარალებს, მეორე მხრივ კი, სულ უფრო მეტად დამოკიდებულს გვხდის უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე, რომლის ნაკადი მსოფლიო კრიზისისა და საქართველოში რუ-



სეთის მიერ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციისა და ამის შედეგად ეკონომიკური რეგრესიის ფონზე, ბოლო დროს საგრძნობლად შემცირდა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მთავარი საფინანსო ინსტიტუტის, კერძოდ, ეროვნული ბანკის წარმომადგენელთა მტკიცების საპირისპიროდ სესხების მოცულობა ეროვნული ვალუტით იზრდებაო, რეალურად სწორედ უცხოური ვალუტითაა გაცემული კომერციული ბანკების მიერ კრედიტების სამი მეოთხედი, ზოგ შემთხვევაში მეტიც. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ზოგიერთ კომერციულ ბანკში ლარით გაცემულ სესხთა მოცულობა კიდევ უფრო დაბალია და 10-20 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, თუმცა რამდენიმე მათგანი ინფორმაციის საჯაროობაზე საერთოდ უარს აცხადებს კომერციული საიდუმლოს დაცვის მოტივაციით. ამასთან, დოლარებით კრედიტების გაცემის სიჭარბეს ისინიც, თავის მხრივ, იმით ხსნიან, რომ ქვეყანაში აუარება უცხოური საქონელი შემოაქვთ, რისთვისაც საბანკო სესხი აუცილებლად უცხოური ვალუტით სჭირდებათ. ეს კი ასეა, მაგრამ როცა ბანკის კლიენტს, ვთქვათ, ავტომანქანის თუ ბინის შესაძენად ან სარემონტოდ სჭირდება და ბანკიდან სესხი უცხოური ვალუტით გააქვს, ამ შემთხვევაში მისი ზარალის რისკი ბანკისაზე გაცილებით მაღალია.

ამასთან დაკავშირებით იმის თქმა შეიძლება, რომ ვალუტის ყიდვა-გაყიდვას მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა ქვეყანაში არა მარტო ბანკები, არამედ კერძო პირებიც ეწევიან, რაშიც, ბუნებრივია, ზოგჯერ იგებს, ზოგჯერაც აგებს, რაც, ცხადია, ბაზრის კონიუნქტურის ცოდნასა და პიროვნულ ალღოზეა, ამა თუ იმ ოპერაციისთვის ოპტიმალურად ხელსაყრელი მომენტის შერჩევაზეა დამოკიდებული. ამას კი, უწინარესად, შესაბამისი კანონმდებლობა უწყობს ხელს, ჩვენში კი იგი მხოლოდ გარკვეულ ჯგუფთა ინტერესების უზრუნველყოფაზეა მორგებული.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

## დევნილთა დაბრუნებაში ამერიკა დაგვეხმარება

**აშშ განაგრძობს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, სხვა მრავალმხრივ მექანიზმებსა და მთავრობებთან მუშაობას ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებში კონფლიქტების მშვიდობიანად მოსაწესრიგებლად, – ნათქვამია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც მსოფლიოში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობას ეხება.**

**ანგარიშის თანახმად, ამ პროცესში აშშ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დათმობას არ აპირებს და ხელს შეუწყობს იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებას საკუთარ სახლებში.**

**აშშ ასევე ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების და სამართლიანი არჩევნების პროცესს, კანონის უზენაესობას, სასამართლოსა და მედიის თავისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პლურალიზმის განვითარებას, – აღნიშნულია ანგარიშში.**

**რუსეთთან მიმართებაში სახელმწიფო დეპარტამენტი ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკური ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების განვითარებაზე, სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებაზე, დამოუკიდებლობისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობაზე.**

**დოკუმენტის მიხედვით ქვეყანაში დაბალია პოლიტიკური აქტივობა. ხელისუფლების მიერ კი სამოქალაქო საზოგადოებასა და დამოუკიდებელ მედიაზე შეზღუდვების დაწესება დემოკრატიის განვითარებას აფერხებს.**

**მოხსენება ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში კორუფციის დონის შემცირების აუცილებლობაზე**

**ანგარიში მსოფლიოს 106 ქვეყანას მოიცავს.**

## ევროსაბჭო პრობლემების მოგვარებაში გვეხმარება

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის დაცვის საკითხი ევროპის საბჭოსთვის გამოკვეთილ პრინციპს წარმოადგენს. ამის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანტონიო მილოშოვსკიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

**– ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის დაცვის საკითხი ჩვენთვის გამოკვეთილ პრინციპულ საკითხს წამოადგენს, – აღნიშნა ანტონიო მილოშოვსკიმ.**

**ამასთან, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანის ტორბიორნ იაგლანდის განცხადებით, რუსეთმაც და საქართველომაც ნაკისრი ვალდებულები უნდა შეასრულოს და ორ ქვეყანას შორის არსებული ვითარების მოგვარებაში ევროსაბჭო აქტიურად არის ჩართული.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

პროფკავშირი



***საჯარო სკოლებში პედაგოგთა შემცირებები მიმდინარეობს. გავრცელებული ინფორმაციით, 75 000 მასწავლებლიდან 25 000 პედაგოგის გათავისუფლება იგეგმება. რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს ინფორმაცია, რამდენად კანონიერია მასწავლებელთა სამსახურიდან გათავისუფლება, ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხელმძღვანელს მანანა ღურჭუმელიძეს ესაუბრა.***

# 25 ათასი მასწავლებელი – ქუჩაში?!

**– ქალბატონო მანანა, რამდენად რეალურია გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საჯარო სკოლებიდან რამდენიმე ათეული ათასი პედაგოგის გათავისუფლება იგეგმება?**

– ზუსტ მონაცემებს გეტყვით: რუსთავში სამსახურიდან უკვე გათავისუფლებულია დაახლოებით 800-მდე მასწავლებელი, თბილისში კი – 3000-ზე მეტი, საბოლოო ჯამში კი, მთელი საქართველოს მასშტაბით 25 ათასი მასწავლებლის გაშვება იგეგმება. საქართველოში სულ 75 ათასამდე პედაგოგია, ანუ მასწავლებელთა ერთ მესამედს ათავისუფლებენ, თანაც კანონდარღვევით, ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე, იმის გაუთვალისწინებლად, როგორია მათი კვალიფიკაცია. ასევე უშვებენ საპენსიო ასაკის გამო. ეს არის პირდაპირი დისკრიმინაცია, რადგან მასწავლებელი საჯარო მოხელე არ არის და მათთვის ასაკობრივი ზღვარი კანონით დადგენილი არ არის. თუ შრომისუნარიანია, არავის აქვს უფლება, ის სამსახურიდან დაითხოვოს. სამწუხაროა, რომ ამას არ აღიარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ჩვენ გვარები შეგვიძლია დავასახელოთ, რომელი სკოლიდან რომელი პედაგოგი გაათავისუფლეს.

**– მოდით, რეალურად შევაფასოთ. სკოლებში შტატები ხელოვნურად გაზრდილი არ არის?**

– მასწავლებლის შტატი როგორ იქნება გაზრდილი? ის საათები ხომ ვიღაცამ უნდა ჩაატაროს?. არსებობს 2005 წელს მინისტრის მიერ გამოცემული №576 ბრძანება. მასში გაწერილია, როგორ შეიძლება იყოს მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა. იქ წერია, რომ მასწავლებელს შეიძლება ჰქონდეს საშუალოდ 18 საათი, ასევე საშუალოზე ნაკლები და მეტი. პედაგოგს შეუძლია სკოლაში ერთი საათიც ასწავლოს. მისი გათავისუფლებით სკოლის ბიუჯეტს არანაირი შეღავათი არ აქვს. ერთადერთი არის ის, რომ ეს მასწავლებელი სოციალურად დაუცველი რჩება და აღარ მიიღებს იმ ვაუჩერებს, რომელიც პედაგოგებს ეძლევათ. რა მნიშვნელობა აქვს, ის საათი ვიღაცამ ხომ უნდა ჩაატაროს და მან მაინც ხომ უნდა აიღოს ხელფასი?. თუ ჩვენ ვსაუბრობთ ადმინისტრაციის პერსონალზე, იქ რეალურად ხშირად არის გაზრდილი შტატები. ამის გამო ზოგიერთი დირექტორი დასაჭერიც კია. მაგრამ ვერ დავეთანხმებით, რომ სკოლაში არ უნდა იყოს ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, მეზაღე და სხვა საჭირო მომსახურე პერსონალი. აღარაფერს ვამბობ პედაგოგებზე.

**– განათლების სამინისტროს მოტივაცია რა არის? რითი იმართლებს თავს?**

– მასწავლებლების საშუალო ხელფასი დაახლოებით 200 ლარამდეა. სამინისტროს მოტივაცია არის ის, რომ ამ გამოთავისუფლებული ფულით სკოლებში მანდატურების შეყვანა სურთ. ასევე სათვალთვალო კამერების დაყენებას აპირებენ. ფსიქოლოგების, ბიბლიოთეკარების და მასწავლებლების მაგივრად ურჩევნიათ სკოლაში მანდატურები იყვნენ.

**– შესაძლოა თუ არა რაიმე გზით ეს შემცირება თავიდან იქნას არიდებული? კონკრეტულად თქვენი ორგანიზაცია რას აპირებს?**

– გათავისუფლებულ მასწავლებლებს ეუბნებიან, არ მიხვიდეთ პროფკავშირებში ან სხვაგან არ გააპროტესტოთ და სექტემბრიდან სხვა სამსახურებს მოგიძებნითო. ალბათ, ფიქრობენ, სექტემბრამდე ისეთ პრობლემას შეგვიქმნიან, რომ მასწავლებლებისთვის ვეღარ მოვიცლით. მათ გასაგონად ვამბობთ, რაც არ უნდა გაგვიკეთონ, თითოეული მასწავლებლისთვის მოვიცლით და აქ თუ არა, სტრასბურგში მაინც შევიტანთ საჩივარს. საპროტესტო აქციების გამართვასაც ვგეგმავთ. მივმართავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ყველა გზას გამოვიყენებთ ჩვენი მასწავლებლების მხარდასაჭერად. ამ შემცირებებს უკვე გამოეხმაურა მსოფლიოს მასწავლებელთა პროფკავშირები, რადგან საქართველოს მასწავლებლები მსოფლიოს და ევროპის მასწავლებელთა პროფკავშირების წევრები არიან. აღნიშნული ორგანიზაციის დასკვნას უახლოეს დღეებში გამოვაქვეყნებთ. ჩვენ მხარში გვიდგას მსოფლიოს უდიდესი პროფკავშირების გაერთიანებები.

როცა ტყუიხარ...




# დამამშვიდებელი დალიე და გაჩუმდი მაინც...

## „ავერსმა“ გაზეთებს თავისი გასამართლებელი წერილები ჩამოურიგა

**ასეა, თუ ტყუიხარ, თანაც დანამდვილებით იცი, რომ ტყუიხარ, გაჩუმებას არაფერი სჯობს, მაგრამ ამაში საკუთარი თავის დაჯერება რომ არც ისე იოლია, კომპანია „ავერსის“ „გამოცდილებამ“ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. რაც შეეხება დამამშვიდებლის მიღებას, ამან არც თუ შემთხვევით, თუშის ნათქვამი გამახსენა: ჩემ გაკეთებულ ყველს რა შემაჭმევს, ბაზარზე ძალიან ძვირი ღირსო. ეს ხალხური ხუმრობა თუ ანდაზა ზედგამოჭრილია დღევანდელ ჩვენს ფარმაცევტებზე — ბაზარზე ისეთი ცეცხლი უკიდია მედიკამენტებს, საკუთარი ოფლით მონაგარ წამალს, თუნდაც ის დამამშვიდებელი იყოს, პირს როგორ დააკარებენ(!).**

სწორედ ფარმაცევტულ ბაზარზე წამლების არნახულმა სიძვირემ, მით უფრო იმ ფონზე, როცა საქართველოში მედიკამენტებზე დანახარჯი არარეალურად დიდია და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების 40 პროცენტს აჭარბებს (სხვა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ბევრად ნაკლებია), უბიძგა „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციას“, გამოეკვლია ხსენებულ ბაზარზე შექმნილი მძიმე მდგომარეობა და საზოგადოებისთვის საინტერესო დღემდე პასუხგაუცემელ კითხვებზე კომპეტენტური პასუხები გაეცა. ასეც მოიქცა, ასოციაციამ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში დაიწყო ფარმაცევტული ბაზრის სტრუქტურის, პრეპარატების ხარისხის, საფასო პოლიტიკის, სხვა მრავალი საკითხის გარკვევა და მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ჯერ არ დაუსრულებია, მისი შუალედური შედეგები პრესაში (გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 9-15 ივნისი, 2010 წ.) უკვე გამოაქვეყნა. ამ ნაკვლევზე დაყრდნობით, ფარმაცევტული კომპანიების „ავერსის“, „პსპ“-ს, „ჯიპისის“, როგორც მონოპოლისტი სუბიექტების, მისამართით რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოვთქვი „საქართველოს რესპუბლიკაში“ (22 ივნისი, 2010 წ.) დასტამბულ წერილში: ინებეთ „გაქართველებული“ ინდური და ჩინური წამლები“. „მკვლევართა აზრით, — ვწერდი იმ სტატიაში — ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ „ავერსს“ შეუძლია ბევრად იაფად გაყიდოს საკუთარი წარმოების მედიკამენტები, მაგრამ დიდ მოგებას დახარბებული, ამას უბრალოდ არ აკეთებს. აქვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „პსპ“ წამლებს ყიდის დემპინგურ ფასში, რაც სრულიად არალოგიკურია“.

„ავერსმა“, როგორც ყოველთვის, შენიშვნები, კრიტიკა ამჯერადაც იწყინა და იქით შეუტია მოკრიტიკეებს. საპასუხო წერილებში, რომლებიც გაზეთების რედაქციებს ჩამოურიგდათ (ბედზე ერთი ეგზემპლარი „საქართველოს რესპუბლიკასაც“ შეხვდა), „ავერსს“ ჩამოთვლილი აქვს რიგი ბრალდებებისა, რომლებიც „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“ ფარმაცევტულ კომპანიას თითქოს უსაფუძვლოდ, დაუსაბუთებლად წაუყენა. კვლევის ავტორები იტყუებიან, როცა წერენ, „ავერსი-რაციონალის“ საწარმოს არ გააჩნია ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი და შესაბამისად არც პროდუქციის ხარისხი უვარგაო. ჩვენ არსებობის 5 წლის მანძილზე უმაღლესი ხარისხის დამადასტურებელი არაერთი სერტიფიკატი და ჯილდო მივიღეთ და სრულიად გაუგებარია, ეს უხარისხობა საიდან გამოძებნესო. „ავერსის“ პასუხში ლაპარაკია სხვა უსაფუძვლო ბრალდებებზეც, რომლებიც კვლევის ავტორებმა ვითომ საკუთარი თითებიდან გამოწოვეს.


ავერსის პასუხი "აფბას"
www.aversi.ge
Certificate
CERTIFICATE

დავინტერესდი, რამდენად რეალურია „ავერსის“ მიმართ წაყენებული ეგრეთ წოდებული ბრალდებები და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტს **მერაბ ჯანიაშვილს** გავესაუბრე.

— ჩვენი მიზანი, — ამბობს ბატონი მერაბი, — სულაც არ გახლავთ ვინმეს ბრალდება და დადანაშაულება, ეს ჩვენს კომპეტენციას სცილდება. „აფბას“ მიერ ინიცირებული კვლევის მიზანია საზოგადოებისთვის ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული რეალური ვითარების გაცნობა, ტენდენციებისა და ფაქტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაციის მოპოვება იმის თაობაზე, მართლა დაუსაბუთებლად ძვირია თუ არა საქართველოში მედიკამენტებზე ფასები და უჭირავთ თუ არა ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე ამინდის შემქმნელ კომპანიებს მოგების უსამართლოდ მაღალი მარჟა.

**— და როგორ ფიქრობთ, ეს მარჟა „ოდნავ მაღალი“ ხომ არ მოუვიდათ? და თუ მაინც ხელი წაუცდათ, ეს ბიზნესინტერესებით ხომ არ არის ნაკარნახევი?**

— ჩვენ არ ვართ ბიზნესინტერესების წინააღმდეგი, პირიქით, მაგრამ ეს ინტერესები შენი, ჩემი, ჩვენი ინტერესების შელახვის ხარჯზე არ უნდა ხორციელდებოდეს.

**— ეს განსაკუთრებით მძიმედ აწვება სოციალურად დაუცველ ადამიანებს, უმუშევრებს, პენსიონერებს და სხვებს.**

— მაგაზეა ლაპარაკი. რანაირად შეიძლება საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მყოფი საქართველოს მოქალაქე 1-ლარიან წამალში 4 ლარს იხდიდეს (ციფრები პირობითია, უბრალოდ პროცენტული სხვაობაა მოცემული). მაგალითად, „დუოვიტზე“, საბაჟოზე დაფიქსირებულ ფასთან შედარებით, ფასნამატი 247,4 პროცენტია, ვალოკორდინზე — 208 პროცენტი, „ენაპიზე“ (5 მგ №20 ტ) — 212 პროცენტი. ასევეა პროპორციულად ბევრი სხვა ფართო მოხმარების მედიკამენტების შემთხვევაშიც. იბადება კითხვა: როდის დაიშლება არაოფიციალური კარტელი, რომელიც მაფიის ნიშნებს ატარებს? დღემდე გამოუცნობია, როგორ ახერხებს ეს კარტელი ერთ მშვენიერ დღეს ერთდროულად ფასების აწევ-დაწევას, მომხმარებლისთვის ზუსტად ერთდროულად, ერთნაირი ფასდაკლების აქციების შეთავაზებას? სწორედ ამ კარტერული შეთანხმების შედეგი ხომ არ არის ბაზარზე კონკურენციის თითქმის არარსებობა, რაც იწვევს სწორედ გაუმართლებლად მაღალ ფასებს? ამას, ალბათ, ნებისმიერი „პირველკურსელი“ მიხვდება.

**— ბატონო მერაბ, თქვენს შენიშვნას (ისინი ბრალდებას უწოდებენ), რომ საქართველოს ფარმაცევტული საწარმოები მედიკამენტებს არ აწარმოებენ, არამედ მზა სახით შემოაქვთ ინდოეთიდან და ჩინეთიდან, რომელთა დაბალი ხარისხი საქვეყნოდაა ცნობილიო, „ავერსი“ იმით „აქარწყლებს“, რომ მთელ მსოფლიოში ფარმაცევტული ნედლეულის 95 პროცენტი სწორედ ამ ქვეყნებში იწარმოება და მისით ცნობილი გიგანტი ფარმაცევტული საწარმოები სარგებლობენო. ამაზე რას უპასუხებდით?**

— მარტივად შევნიშნავდი, რომ, მაგალითად, გერმანული კომპანიები, როცა იყენებენ ინდურ ნედლეულს, იქ წამლის ხარისხის უმკაცრეს და რეალურ სახელმწიფო კონტროლს ეყრდნობიან. აქ გვეუბნებიან, ხარისხის კონტროლი არ არის საჭირო და მხოლოდ ერთი საწარმოს შიდა ლაბორატორიას და შესაბამისად, მხოლოდ ამ საწარმოს მფლობელის კეთილ ნებას უნდა ვენდოთო. თუ კომპანიების მიერ მედიკამანტების სერტიფიკატების ფლობა ქვეყანაში უხარისხო მედიკამენტების არსებობას გამორიცხავს, მაშინ რატომ არის ევროკავშირში, ამერიკაში, სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში მედიკამენტების ხარისხის მკაცრი და მასშტაბური კონტროლი?

ინდოეთი ინდოეთია და ჩინეთიც ჩინეთი, მაგრამ ყველაზე არსებითი და მტკივნეული, რაც ქართულ საზოგადოებას აწუხებს, ეს ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული არარეალური საფასო პოლიტიკა გახლავთ. რაც უნდა ვჩქმალოთ და ვმალოთ, ფაქტია, რომ ზამთარ-ზაფხულ, არჩევნების წინ თუ არჩევნების შემდეგ, ლარის გაუფასურებისა თუ გამყარების პერიოდში, მედიკამენტების ფასები მოშლილი თერმომეტრივით სულ უფრო მაღლა-მაღლა მიიწევს. ამას წინათ პრესაში („კვირის პალიტრა“, 21-27 ივნისი, 2010 წ.) გამოქვეყნებულ „ავერსის“ განცხადებაში ამოვიკითხე: „ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის და ვითომ ექსპერტების მიერ ატეხილი ხმაური წამლების გაძვირების შესახებ, სრული სიცრუეა. ავერსის ხელმძღვანელობა სრული დოკუმენტური მტკიცებით აცხადებს, 2008 წლის 11 ნოემბრიდან მოყოლებული წელიწადნახევრის განმავლობაში „ავერსს“ არც ერთი მედიკამენტი არც ერთი თეთრით არ გაუძვირებია“.

ამაზეა ნათქვამი, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. იმ განცხადებიდან ორი დღეც არ იყო გასული, რომ მეტრო რუსთაველის შესასვლელში გახსნილ „ავერსის“ აფთიაქში ერთ ფირფიტა „სენადეში“ თეთრხალათიანმა ქალბატონმა 1 ლარი და 20 თეთრი გადამახდევინა. ვიფიქრე, შეიძლება შეეშალა-მეთქი და ფასი გავამეორებინე. რა გიკვირთ, ადრე 1 ლარი და 10 თეთრი ღირდა, მაგრამ ამ ერთ კვირაში გაძვირდაო. მანვე „მოვალისში“ 1 ლარისა და 10 თეთრის ნაცვლად 1 ლარი და 30 თეთრი გამომართვა. თურმე „მოვალისიც“ გაძვირებულა. „ავერსის“ ხელმძღვანელობამ კი ეს არ იცის და დოკუმენტურად გვიმტკიცებს“ — წელიწადნახევარია წამლებისთვის ერთი თეთრიც არ წაგვიმატებიაო. იმდენი კბილი ჩამოგვარდეთ, ბატონებო, რამდენიც წაგიმატებიათ!

**თუმცა „ავერსის“ (გნებავთ „პსპ“-სა და „ჯიპისისაც“), ხელმძღვანელთა დაცვივნული კბილები წამხდარ საქმეს საით წაადგება. მათ ავიწყდებათ, რომ სოციალურად დიდად მნიშვნელოვანი ბიზნესით ბრძანდებიან დაკავებულნი. თქვენ მხოლოდ ბიზნესის კეთება არ გევალებათ, ბატონებო, თქვენ მთელი ქვეყნისა და ერის წინაშე ხართ პასუხისმგებელნი.**

ოთარ ხუციშვილი

ნუთუ?!

# ერთი ქვეყანა ამბისა გამო...

**ახლახან გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ გამოაქვეყნა 15 წლის წინათ თავის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები, რომლებიც რუსთაველი-მთაწმინდის პარკის ბაგირგზის კატასტროფის საკითხებს შეეხება.**

**ამ წერილების ერთ-ერთი ავტორი ილია შარაშენიძე თქვენ სერიოზულ ბრალდებებს გიყენებთ. რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?**

— ამ შეკითხვით მივმართეთ საქართველოს საბაგირო და მონორელსური ტრანსპორტის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრს **შოთა ორჯონიკიძეს.**

— ვიტყვი მოკლედ, — ამბობს ბატონი შოთა, — აგრესიულ ზეპირსიტყვაობას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ, — ეს საერთოდ. კონკრეტულად საკითხთან დაკავშირებით:

თავის დროზე საქართველოს მინისტრთა საბჭოში რესპუბლიკის კონტროლის პალატის კომპეტენტური წარმომადგენლების მონაწილეობით დეტალურად იქნა განხილული ილია შარაშენიძის საჩივარში მოყვანილი ბრალდებები. დადგინდა, რომ ყველა მათგანი ცილისმწამებლურია. და საერთოდ, იმ კატასტროფის შესახებ სათანადო ოფიციალური დასკვნები გამოქვეყნდა კიდეც პრესაში.

აქვე დავუმატებდი, რომ ილია შარაშენიძე ბაგირგზების სპეციალისტი არასოდეს არ ყოფილა. ამიტომ ის ბაგირგზების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი ვერ იქნებოდა, როგორც იგი გაზეთმა მონათლა. ზუსტად კი თუ შევაფასებთ — ეს იყო უკეთური გარემოცვისთვის საკუთარი ნებით ჩაბარებული ტყვე.

ჩემი მხრივ ვისურვებდი — რა სიმართლითაც დაიწერა აღნიშნული სტატიები, იმ სიმართლით იარონ აქაც და იქაც მისმა ავტორებმაც, დამბეჭდავებმაც და უხვად დამფინანსებლებმაც. ბოროტი სიყალბისა და ღირსეულის უღირსად წარმოჩენისთვის ცილისმწამებლები მკაცრ განსჯას იმსახურებენ. მაგრამ ეს მხოლოდ უფლის ნებაა, მე კი მისი მწამს.

**— ბატონო შოთა, რუსთაველი-მთაწმინდის სამგზავრო ბაგირგზის კატასტროფის დღეს გავრცელდა ხმები, რომ ამის მიზეზი იყო დივერსია ტერაქტით. იყო იმის ვარაუდიც, რომ კატასტროფა ვერ მოხდებოდა უკმაყოფილო ბაგირგზის სპეციალისტის კონსულტაციის გარეშე. მომხდარისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მიცემაზე ხელისუფლებამ თავი შეიკავა ხალხში პანიკური შიშის თავიდან აცილების მიზნით. თქვენ რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?**

— როგორც ამბობენ, ხალხი ყოველთვის მართალია. ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, თქვენს კითხვაზე პასუხი გეთხოვათ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ საგარეო საქმეთა მინისტრ ბატონ გიორგი ხოშტარიასთვის, რომელიც უშუალოდ შეესწრო ამ საკითხთან დაკავშირებით სიმართლის დადგენის ისტორიას.

ჩვენი გაზეთი, ამ რეკომენდაციის შესაბამისად, მართლაც დაუკავშირდა ბატონ **გიორგი ხოშტარიას.** აი, რა გვითხრა მან:

**— 1990 წლის ზაფხულის ბოლოს მოსკოვში ვიყავი და ასეთ ფაქტს შევესწარი: საქართველოს წარმომადგენლობას უტევდნენ განსაკუთრებულად გამწარებული რადიკალი ოპოზიციონერები, რომლებიც წარმომადგენლობის ხელმძღვანელობისგან მოითხოვდნენ, დატოვებინათ შენობა და გადაეცათ იგი მათთვის. ისინი მოითხოვდნენ აგრეთვე თბილისში პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის შენობათა გადაცემასაც. თუ ეს არ მოხდებოდა, ისინი იმუქრებოდნენ, რომ გაამწარებდნენ ხელისუფლებას ისე, როგორც ეს ქნეს 1 ივნისს – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის – რუსთაველი-მთაწმინდის პარკის ბაგირგზის კატასტროფის მოწყობით.**

ნუთუ ეს სიმართლეა? დასკვნების გაკეთება სპეციალისტებისთვის მიგვინდვია!

ზურაბ ლომიძე

◉ ეკოლოგიური კატასტროფა




**წლების მანძილზე „მადნეულის" მიერ მდინარე მაშავერას მოწამლულ წყალს შიშით შეჰყურებდა ბოლნისელი მევენახე და ყოველნაირად ცდილობდა აერიდებინა მისთვის თავისი ვენახი და ყანა, რწყავდა მხოლოდ მაშინ, როცა მდინარეში და არხში სუფთა წყალი მოდიოდა.**

2009 წელს მევენახის გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, „კაცი დალევდა, ისეთი სუფთა წყალი მოდიოდა მთელი წლის განმავლობაში, როგორ მიაღწიეთ ამას" – მადლიერების გრძნობით ეკითხებოდა იგი ბოლნისელ არასამთავრობოებს. უსაზღვრო იყო ბავშვების სიხარულიც. ისინი ზაფხულის

# „მაშავერაგეიტი",

## ანუ ვინც სხვისი ჭკუით არ აზროვნებს...

ცხელ დღეებში მდინარეში ჭყუმპალაობდნენ, სხვადასხვა ადგილას ანკესით თევზაობდნენ. წლობით მკვდარ მდინარეში თევზი გაჩნდა.

მაგრამ დიდხანს ეს მთავრობა გაახარებს ვინმეს განა?

30 მაისის არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე მდინარემ შემზარავი ფერი მიიღო. მდინარეში ისეთი რაოდენობით გაწყდა თევზი, რომ საქმეში ჩაუხედავი მოსახლეობის ნაწილმა განგაში ატეხა. ბოლნისელ არასამთავრობოებს ეგონათ, რომ „მადნეულში" რაღაც შეემთხვათ და მდგომარეობა გამოსწორდებოდა, მაგრამ როცა მოწამლული მდინარის დინება 15 დღე გაგრძელდა (მდინარე დღესაც მოწამლულია), ბოლნისელმა არასამთავრობოებმა, რომლებსაც ამ წერილის ავტორიც ახლდა, მდინარის სამ ადგილზე სინჯები აიღეს და „მადნეულის" ეკოლოგიურ სამსახურს ეწვივნენ.

ბოლო სამი სინჯი იმ ადგილას აიღეს, სადაც ანკარა მაშავერას „მადნეულიდან" ჩამონადენი ხან ყვითელი და ხან მწვანე ბლანტი სითხე უერთდება.

გინახავთ როგორ კლავენ ცოცხალ მდინარეს? როგორ იქცევა ცოცხალი მდინარე მკვდარ მდინარედ? თუ არ გინახავთ, ნუ ნახავთ, რადგან თვითონვე გაგიკვირდებათ, ისე გაზოროტდებით.

„მადნეულის" ეკოლოგიურ სამსახურში, ისე როგორც ადრე, განაცხადეს, რომ მდინარის დამაბინძურებელი ნივთიერება მომწამვლელი არ არის, რომ ამ საქმეს იძიებს პროკურატურა და ა. შ. არასამთავრობოების კითხვაზე, ხომ არ გაათავისუფლეს ის მუშები, რომლებიც დაბინძურებული წყლის გადატუმბვაზე და გაწმენდაზე მუშაობდნენ, პასუხი ვერ მივიღეთ. არასამთავრობოებმა მათ სინჯები დაუტოვეს და სთხოვეს, თავიანთ ლაბორატორიაში შეემოწმებინათ, თუ რამდენჯერ აღემატება მდინარის დაბინძურება დასაშვებ ნორმას. პასუხი დღესაც არ ჩანს.

მე გაზეთის რედაქციას და მკითხველებს ვერ ვაკადრებ ბოლნისში გავრცელებული ზოგიერთი მოსაზრების გამოქვეყნებას სათანადო მტკიცებულებების გარეშე, მაგრამ მოვლენათა განვითარების თანამიმდევრობა მკითხველს უნდა მოეხსენდეს.

მიმდინარე წლის დასაწყიში „მადნეულში" გარემოს დაცვის მინისტრი ჩამოვიდა. „მადნეულის" ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ, წასვლის წინ, ბატონმა მინისტრმა განაცხადა, მდინარე მაშავერას ეკოლოგიური მდგომარეობა სრულად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებსო.

ერთი წლის დაგვიანებით, ასეთი განცხადების გაკეთება ცუდად გვენიშნა ბოლნისელებს. ამ განცხადების შემდეგ, რამდენიმე დღეში, მდინარე მყისიერად აიმღვრა და გარემოს დაცვის ინსპექციამ გასაოცარი ოპერატიულობით რამდენიმე მილიონი ლარით დააჯარიმა „მადნეული". თუ გავიხსენებთ, რომ არა მარტო სამინისტროების არსებობა, არამედ თვით ბიუჯეტი ძირითადად ჯარიმების დაწესებით და მათი ამოღებით ივსება, მკითხველი ადვილად მიხვდება მოვლენათა ასეთი განვითარების მიზეზს.

ჩვენს შეკითხვაზე მდინარე მაშავერას დაბინძურების თაობაზე, არის თუ არა საქმე აღძრული ბოლნისის რაიონულ პროკურატურაში, პროკურატურის თანაშემწემ გვიპასუხა, ამისათვის საჭიროა წერილობითი შეკითხვის შეტანაო. გვსურდა გაგვეგო თანაშემწის გვარი, მაგრამ ხელი ჩავიქნიეთ, რადგან თანაშემწის გვარის გასაგებადაც პროკურატურაში წერილობითი შეკითხვის შეტანას მოგვთხოვდნენ.

ასეთი ხელისუფლების დროს რა ქნას ბოლნისელმა მევენახემ და მათ, ვისი სასიცოცხლო ინტერესებიც ასე უსაშველოდ ილახება? ვინ დაიცავს მის, ე. ი. ქვეყნის ინტერესებს? იქნებ იმ ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც გაიძახიან, გასული 70 წლის ცხოვრება ვერ გახდა ქვეყნის ისტორიაო?

ვისაც ორიოდე წიგნი მაინც აქვს წაკითხული და სხვისი ჭკუით არ აზროვნებს, ის მიხვდება, რომ გამოკვეთილია სიძულვილი, მტრობა და ანტაგონიზმი არა მარტო ადამიანებს შორის, არამედ საზოგადოების ფენებს შორის. თუ რა მოჰყვება ამას, ადვილი მისახვედრია.

**ნუგზარ კობახიძე**



◉ ინფორმაცია

## ბავშვის გარდაცვალების მიზეზს ექსპერტიზა დაამტკიცებს

**ჟვანიას სახელობის კლინიკაში წუხელ წლინახევრის ბავშვი გარდაიცვალა. პაციენტი საავადმყოფოში კატასტროფის ბრიგადამ ქუთაისიდან რამდენიმე დღის წინათ გადმოიყვანა.**

**ექიმების თქმით, მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო და სისხლძარღვთა ანთების დიაგნოზით რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.**

**შემდგომში, გამოკვლევების მიზნით, პაციენტი რევმატოლოგიურ განყოფილებაშიც გადაიყვანეს, თუმცა ვითარების დამძიმების შემდეგ კვლავ რეანიმაციაში დააბრუნეს.**

**ექიმების განცხადებით სათანადო მკურნალობის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. მშობლები მომხდარში მედიკოსებს ადანაშაულებენ. ექიმებიც და ოჯახიც ამჟამად ექსპერტიზის დასკვნას ელოდებიან.**

ხი-ეიჩ-ენი

№2/585-09

# განჩინება

## საქართველოს სახელით

22 ივნისი, 2010 წელი — ქ. ბათუმი

### ბათუმის საქალაქო სასამართლო
### სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

**მოსამართლე ვიოლეტა ფორჩხიძე**

**მოსარჩელე** – დარეჯან ქუთათელაძე
**მოპასუხე** – ნუგზარ დათიკაშვილი,
შპს „ოდისეი" – დირექტორი ირაკლი ჯაში

**დავის საგანი** – სესხის, მასზე დარიცხული პროცენტების და პირგასამტეხლოს, იპოთეკის საგნის რეალიზაცია.

საქმის განხილვის მომზადების მიზნით განიხილა საქმის განხილვის დროისა და თარიღის შესახებ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების თაობაზე.

**გამოარკვია:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია დარეჯან ქუთათელაძის სარჩელი სესხის, მასზე დარიცხული პროცენტებისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის შესახებ და შპს „ოდისეის" (დირექტორი ირაკლი ჯაში) შეგებებული სარჩელის სესხის, იპოთეკის და ვალდებულების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შესახებ.

2009 წლის 30 ივლისის განჩინებით სარჩელი მიღებული იქნა წარმოებაში. როგორც საქმის მომზადებისას გამოირკვა, ერთ-ერთ მოპასუხეს – ნუგზარ დათიკაშვილს – ვერ ბარდება შეტყობინება სასამართლოდან, ვინაიდან ის არ იმყოფება სარჩელში მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №19.

საქმის მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის თაობაზე (12.04.10) მას ეცნობა სასამართლო უწყების გაგზავნით, მაგრამ სასამართლოში წარმოდგენილი შეტყობინებით დადგენილია, რომ სასამართლო უწყება ვერ ჩაბარდა აღნიშნულ მისამართზე მისი არყოფნის გამო (შეტყობინება იხ. საქმეში).

მოცემულ საქმეზე სარჩელისა და შეგებებული სარჩელის განხილვა დანიშნულია 2010 წლის 19 ივლისს 12.00 საათზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ და სხდომის დროისა და ადგილის შესახებ მოპასუხეს აცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საშუალებით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის მთავარ სხდომაზე ზეპირი განხილვის დღე მოპასუხეს უნდა ეცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების მეშვეობით. ამასთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ შეტყობინება უნდა განხორციელდეს იმ გაზეთის მეშვეობით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა").

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით,

**დაადგინა:**

1. განხორციელდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 ივნისის №2/585-09 განჩინებით მოპასუხეზე ნუგზარ დათიკაშვილზე – საჯარო შეტყობინების გავრცელებით – უწყების ჩაბარება.
2. სამოქალაქო საქმე №2/585-09 დარეჯან ქუთათელაძის სარჩელისა გამო ნუგზარ დათიკაშვილისა და შპს „ოდისეის" დირექტორის ირაკლი ჯაშის მიმართ სესხის, მასზე დარიცხული პროცენტების, პირგასამტეხლოსა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის თაობაზე და შპს „ოდისეის" შეგებებული სარჩელი ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე – განსახილველად სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2010 წლის 19 ივლისს 12.00 საათზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მესამე სართული, №5 სხდომის დარბაზი, მის: ქ. ბათუმი, ძმები ზუბალაშვილების 30).
3. ნუგზარ დათიკაშვილს განემარტოს, რომ თუკი ის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ვერ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებული არიან გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობონ სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულებად ითვლება. თუ ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.
4. ნუგზარ დათიკაშვილს განემარტოს, რომ სასამართლო უწყება მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.
5. განჩინება არ საჩივრდება.

მოსამართლე **ვიოლეტა ფორჩხიძე**
ასლი დედანთან სწორია
მოსამართლის თანაშემწე **მაღლენა შანთაძე**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №169

# პატრიარქმა მას „საქართველოს დედა“ უწოდა...



როდესაც ჩვენ მას ვუწოდეთ პრინციპული ისტორიკოსი, რომელიც საბჭოთა პერიოდშიც კი კომპრომისზე არ მიდიოდა, ხმამაღლა ნათქვამ ფრაზად ჩათვალა. არადა, სინამდვილეში ასეც იყო... ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძესთან საუბარში შევეცადეთ დაგვედგინა, ისტორიული სიმართლის დაცვა პროფესიონალი ისტორიკოსისათვის დიდ ძალისხმევას გულისხმობს თუ ბუნებრივი მდგომარეობაა...

მარიკა ლორთქიფანიძე: რომ გითხრათ, არანაირ კომპრომისზე არ წავსულვარ-თქო, შეიძლება ცოტა ხმამაღალი ნათქვამი გამოვიდეს. ხანდახან, ზოგ რამეზე ვჩუმდებოდი... სხვა გზა არ იყო... მაგრამ მაშინაც შეიძლებოდა, შეფარვით, ზოგიერთი ისეთი საკითხის გატანა, რომელიც მაინცდამაინც საბჭოთა პოლიტიკის ეპოქას არ შეესაბამებოდა. როცა ასპირანტურა დავამთავრე, იმ პერიოდში გარდაიცვალა სიმონ ჯანაშია, მაგრამ ჩემი სხვა მასწავლებლები – გიორგი წერეთელი, ნიკო ბერძენიშვილი და სხვები, მიუხედავად იმისა, რომ ამას არ ამჟღავნებდნენ, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეულ საკითხებში მხარს მიჭერდნენ. მაგალითად, როდესაც გავაკეთე სტატია „ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ“, კომუნისტური წყობისთვის ეს სრულიად მიუღებელი გახლდათ. მას წინ დავურთე ლეგენდა ასევე „ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ“. როცა ეს სტატია ბატონ ნიკოს მივუტანე (რედაქტორს), წაიკითხა, შემომხედა და მეკითხება: – „ლეგენდა, ხოო?“.. – „რასაკვირველია, ლეგენდაა ბატონო ნიკო-თქო!“

სტატია დამატოვებინა. მიუხედავად იმისა, ვფიქრობდი, რომ ჟურნალში ვერ მოათავსებდა. ჩემდა გასაკვირად გამომიძახეს, კორექტურა გამაკეთებინეს. ასე მოხდა ამ სტატიის დაბეჭდვა. დაიწყო სტატიაზე ლაპარაკი. დამიძახეს უმაღლეს ორგანოში, სადაც ვთქვი, რომ თუ შეიძლება იყო ლეგენდა „არგონავტების შესახებ“, რატომ არ შეიძლება იყოს ლეგენდა „ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ“? ძალიან კარგად მიხვდნენ ყველაფერს, მაგრამ უკვე ვეღარაფერს შეცვლიდნენ. აი, ასეთ რაღაცეებს ვახერხებდი...

* * *

ერთ მშვენიერ დღეს გამომიძახა გიორგი წერეთელმა და მკითხა, თუ მივიღე სომხეთის აკადემიის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ჟურნალი, რომელშიც მოთავსებული ისტორიკოს მურადიანის სტატია, რის მიხედვითაც „მცხეთის ჯვარი“ სომხების აშენებულია. მან გადმომცა ჟურნალი და დამავალა, რომ როგორც ისტორიკოსს, 10 დღეში პასუხი უნდა გამეცა წერილის ავტორისთვის. თან გამაფრთხილა, ამის შესახებ არავისთან მეთქვა. დანაპირები შევასრულე...

ათი დღის შემდეგ, ჩემ მიერ დამუშავებულ სტატიას, ბატონი გიორგი ეცნობოდა თან ხმას არ იღებდა, ამაზე მეც ორმაგად ვნერვიულობდი. უცებ აიღო ყურმილი, დარეკა ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჩუბინაშვილთან და ეუბნება – „ახლა ხელში მიჭირავს სტატია, რომლის მიმართ არავითარი შენიშვნა არ მაქვს. ავტორი თავად მოგიტანთ სტატიას და ვერდიქტი თქვენ გამოიტანეთ!“...

წავედი ბატონ გიორგისთან. ახლა მან დაიწყო სტატიის ჩუმად კითხვა, მღელვარებისგან მოუსვენრად ვარ. უცებ აიღო ყურმილი და გიორგი წერეთელს ეუბნება – „ჩემი მხრიდანაც არანაირი შენიშვნა არ არის, შეგიძლიათ გაუშვათ“!

ამის მოსმენისას დავავლე ჩემს სტატიას ხელი, არც მადლობა მითქვამს არც ნახვამდის, ისე გამოვიქეცი. გარკვეული დროის შემდეგ მოვუხადე ბოდიში ბატონ გიორგის, ჩემი საქციელის გამო.

ცოტა ხნის შემდეგ მიბარებს აკადემიის გამომცემლობის დირექტორი შოთა შენგელია და მეუბნება: „ახლა მე ჩაგკეტავ აქ და სასწრაფოდ გააკეთე კორექტურა, არავინ არ უნდა იცოდეს, რომ ეს სტატია იბეჭდება!..“ საიდანღაც ინფორმაციამ მაინც გაჟონა. დევი სტურუა იყო მაშინ ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში და წერეთელს ამ სტატიის ამოღება მოსთხოვა. ამ დროს ილია აბულაძის სტატიაც უნდა დაბეჭდილიყო „ენობრივ პრობლემებზე“. ჩვენ ორივე ვასაბუთებდით, რომ „ჯვარი“ არა სომხების, არამედ ქართველების მიერ იყო აშენებული. გიორგი წერეთელმა სასტიკი უარი განაცხადა ამ სტატიების ამოღებაზე. მაშინ სტურუამ არჩევანის წინაშე დააყენა წერეთელი და უთხრა, რომ თუკი აბულაძის სტატია თავად შეუკვეთა (ასე უთხრა გიორგი წერეთელმა მას, რომ მასალა არ ამოეღოთ), ლორთქიფანიძის მასალა ამოიღეთო, თუმცა წერეთელმა უპასუხა, რომ ეს ორი სტატია ერთმანეთს ავსებდა. ასე დაიბეჭდა ორივე სტატია აკადემიის „მოამბეში“. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი პედაგოგებიც გვიწყობდნენ ხელს ეროვნული საქმეების გატანაში. დღეს, რა თქმა უნდა, მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ „ჯვარი“ არის ქართველების აშენებული და ეს არის ყველაზე კარგი! იმ წელსვე პარიზში დაიბეჭდა იმავე მურადიანის სტატია ფრანგული თარგმანით, რომელიც ასევე ამტკიცებდა რომ „ჯვარი“ სომხებისაა. ჩვენთვის ძალიან ძნელი იყო ბრძოლა, მაგრამ ხანდახან რაღაცას მაინც ვახერხებდით...

* * *

კომუნისტური რეჟიმის დროს ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო ქართული ეკლესია და ქრისტიანობა. ეს იყო ერთადერთი ათეისტური სახელმწიფო მსოფლიოში. აფრიკის ჯუნგლებში, რაღაც ტომები რომ ცხოვრობენ, იმათაც კი ჰყავთ საკუთარი ღმერთი. ჩემს სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც ეხებოდა ფეოდალური საქართველოს გაერთიანებას, შევიტანე დებულება იმის შესახებ, რომ IX-X საუკუნეებში, როცა მიმდინარეობდა ქართული ფეოდალური მონარქიის საქართველოს ჩამოყალიბების ბრძოლა, ქართული ეკლესია მხარში ედგა სამეფო ხელისუფლებას, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში. დაცვის დროს მივიღე შენიშვნა, რომ ეკლესიის როლი არ შეიძლება ასე დადებითად იყოს შეფასებულიო. ჩვენ დისერტაციას ვიცავდით ისტორიის ფაკულტეტის საბჭოზე, სადაც ორი უარყოფითი ხმა მივიღე სწორედ ამის გამო. შემდეგ დისერტაცია მტკიცდებოდა უნივერსიტეტის საბჭოზე, იქაც სამი შავი მივიღე ისევ იგივე მიზეზით, მაგრამ ეს ფრაზები ჩემს ნაშრომში მაინც დარჩა. შემდეგ, როდესაც დადგა დისერტაციის მონოგრაფიულად გადმოცემის საკითხი, იქაც შევიტანე ეს დებულება. იმის მიუხედავად, რომ რედაქტორს მამია დუმბაძეს დავპირდი დისერტაციიდან ამ აზრის ამოღებას. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს არ გავაკეთე და ისე მივიტანე გამომცემლობაში. როდესაც გამოიცა წიგნი, მივიღე შენიშვნები, მაგრამ მე მონოგრაფიაში ასევე შევიტანე დებულება იმის შესახებ, რომ ეს იყო ეკლესიის მხარდაჭერით გაკეთებული, ძალიან მნიშვნელოვანი საქმე. აქაც გამომცემლობის დირექტორმა ბატონმა შოთა შენგელიამ შემიწყო ხელი და არ ამოიღეს ეს ნაწილი. მინდა გითხრათ, რომ ეგრეთ წოდებული პრინციპულობა არ იყო ერთპიროვნული. იყვნენ პიროვნებები, რომლებიც მალულად ცდილობდნენ ამ გარემოებებისთვის მხარი დაეჭირათ.

* * *

– თქვენ თქვენთვის დამახასიათებელი პრინციპულობა გამოიჩინეთ, „თვითმფრინავის ბიჭებთან“ დაკავშირებით, როდესაც გეგა კობახიძეს და სხვებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს... ვიცით, რომ ხელისუფლების მხრიდან თქვენზე ზემოქმედება იყო...

– როდესაც ბიჭებს მიუსაჯეს დახვრეტა, შედგა ჯგუფი. ისინი აგროვებდნენ ხელმოწერებს ამ ახალგაზრდების შეწყალებისთვის. ზაფხულში წავკისში ვიყავი აგარაკზე და ჩემთან ამოვიდა მაია ნათაძე, რომელმაც ამომიტანა დედების და ბებიების მიერ დაწერილი ტექსტი-თხოვნა შეწყალების შესახებ. შინაარსი ასეთი იყო: რასაკვირველია მათ დიდი შეცდომა დაუშვეს, მაგრამ ჯერ ახალგაზრდები არიან და მიხვდებიან თავიანთ დანაშაულს, ამიტომ მივუსაჯოთ იმდენი, რაც დახვრეტის ქვემოთ არის, ოღონდ, ნუ დავხვრეტთ!

ხელოვნების მუშაკებიდან – ჩემი დეიდაშვილი ბუბა ხოტივარი და ჩემი ძმა – გიგა ლორთქიფანიძე, აგროვებდნენ ხელმოწერებს. მათ შეადგინეს შეწყალების თხოვნა კულტურის მუშაკების სახელით, სადაც ეწერა, რომ ბავშვებმა დიდი დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ შევიწყალოთო. კარგი საქმე გააკეთესო ამას არავითარი გიჟი არ დაწერდა. ტელევიზიით გადასცეს სასამართლო პროცესი და მეორე დღესვე ამოვიდა ჩემთან უნივერსიტეტის ორი თანამშრომელი და მითხრა: ხომ უყურეთ გუშინ სასამართლო პროცესს და ხომ დარწმუნდით რომ ისინი ნამდვილად დამნაშავენი არიან, ახლა ამ ქაღალდზე დაწერეთ, მიხვდით, რომ მათ საშიში დანაშაული ჩაიდინეს და თქვენი ხელმოწერა მიგაქვთ უკანო.

როგორ გეკადრებათ-მეთქი, იმ ტექსტში, რაზეც მე ხელი მოვაწერე, გარკვევით ეწერა, რომ დანაშაული ჩაიდინეს, შეცდომა მოუვიდათ, მაგრამ შეიწყალეთ-მეთქი, – ვუპასუხე.

– თუ განცხადებას უკან არ წაიღებთ, მაშინ დავით ჩხიკვიშვილთან უნდა წამობრძანდეთო – მითხრეს და წავედი (დ. ჩხიკვიშვილი მაშინ განათლების მინისტრი იყო). შევედი დავითთან. ჩვენ დაახლოებით ერთი თაობის ვიყავით და კარგი ურთიერთობა გვქონდა. მან მითხრა, რომ უნდა შეედგინა წერილობითი ანგარიში, დაეწერა, რომ უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ თხოვნას, თავისი ხელმოწერები მიაქვთ უკან. რა თქმა უნდა, ამ ფაქტმა აღმაშფოთა და ვუპასუხე, რომ იმაზე, რაც დავწერე, პასუხს ვაგებ-თქო. მაშინ მითხრა, რომ ახლა დასავლეთში ჩვენი მტრები ამ თქვენს ხელნაწერებს აფრიალებენ და ამბობენ, რომ ინტელიგენციის წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლის პროფესურა, ამ ბანდიტებს და დამნაშავეებს ხელს უწყობენო.

მაშინ მე ვუთხარი: ახლა რომ ჩვენი ხელმოწერები უკან წავიღოთ, ისინი ხომ დაიწყებენ პროპაგანდას, რომ მიაყენეს კედელთან ელიტა და მუქარით წაიღებინეს უკან თავიანთი სიტყვაო! მე არ მომიწერია იმისთვის, რომ კარგი საქმე გააკეთეს ან დანაშაული არ ჩაიდინეს-თქო!

დათიკომ გაბრაზებულმა მომიშორა: წადი აქედან, თავი დამანებე, შენთან ლაპარაკი არ შემიძლიაო!..

ძალიან დიდი ზეწოლა იყო ჩემს ძმაზეც. სამკურნალო კაბინეტიდან ღამის ორ საათზე გამოუშვეს. რატომ არ ვიცით, მაგრამ ხმები გავარდა, რომ ზემოდან იყო ამის მოთხოვნა. ექიმებმა კი მიზეზად ეს გვითხრეს: გიგას პალატის გვერდით ნოდარ დუმბაძე იწვა. მას უკვე წუთები ჰქონდა დათვლილი და მათი დიდი მეგობრობის ამბავი რომ იცოდნენ, არ უნდოდათ გიგა მის გარდაცვალებას შესწრებოდა.

**რომელია აქედან მართალი არ ვიცი, თუმცა დანამდვილებით ვიცი, რომ მე, გიგამ, ვერიკო ანჯაფარიძემ და ნიკო ჭავჭავაძემ, ამ ოთხმა ადამიანმა არ წავიღეთ უკან ჩვენი ხელმოწერები. სხვა არ ვიცი!**

*  *  *

ეს ამბავი, ყველაფერთან ერთად, ალბათ იმიტომაც განიცადეთ, რომ ისინი თქვენი შვილების ტოლები იყვნენ. გვიამბეთ რამე თქვენს შვილებზე. როგორები არიან ისინი?

**— ერთ ზაფხულს, მე, ჩემი შვილებით და გეგა კობახიძე, დედასთან ერთად, ქვიშხეთში ერთდროულად ვისვენებდით. ნათელა (გეგას დედა) სადმე რომ მიდიოდა, გეგას მე მიტოვებდა. მე მას ჩემს საწოლში ვაწვენდი. წერეთლის ოჯახთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა. ის ნამდვილი უფლისწული იყო და ეს უბედურება რომ მოხდა, მე სულ ის უფლისწული მედგა თვალწინ... სხვებს არ ვიცნობდი, მაგრამ ისინი მათი მეგობრები იყვნენ და ეს საკმარისი იყო ჩემთვის. ჩემმა შვილებმა ეს ამბავი ძალიან განიცადეს. მყავს ჩვეულებრივი ნორმალური შვილები, უფროსი ქალიშვილი ისტორიკოსია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. ისტორიის ინსტიტუტში მუშაობდა, მაგრამ როდესაც უმაღლესი სასწავლებლების დარბევა დაიწყო, პენსიაზე გავიდა და ახლა შვილიშვილებს უვლის. ესეც კარგი საქმეა... ასევე მყავს ორი ვაჟი. ერთ-ერთი დათო, ვისთანაც ვცხოვრობ, ექიმია, საავადმყოფოში მუშაობს. მეორე ვაჟი გიორგი ჩემი კოლეგაა — დოქტორი. შვილიშვილი მომიკლეს არეულობის წლებში, მაგრამ ამასზე საუბარი, არ შემიძლია!..**

*  *  *

— გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა მასალები იატაკქვეშეთის ლიტერატურიდან, კერძოდ, ჟურნალიდან „მოამბე“, სადაც ასახული იყო რუსიფიკაციის ცდები ქართულ უნივერსიტეტში, ეს ის პერიოდია, როდესაც მოინდომეს საგნების რუსულ ენაზე წაკითხვა. თქვენ ამას დაუპირისპირდით. გვიამბეთ ამის შესახებ.

**— ენის პრობლემებთან დაკავშირებული იყო იგივე პრობლემა. შემომითვალეს, რომ საათების განაწილების დროს ისტორიის კათედრაზე და საერთოდ უნივერსიტეტში, ორი საგანი მაინც წაკითხულიყო რუსულ ენაზე. ამან აღმაშფოთა და შევედი რექტორთან კითხვით, თუ რატომ გადაწყვიტა ასეთი რამ. მიპასუხებს: მოსკოვიდან არის ბრძანება, თუმცა, ბრძანების ფურცელი ვერ იპოვა, როგორც წესი, ასეთ ბრძანებებს წერილობით არ აგზავნიან. როდესაც მე უარი განვუცხადე ამის გაკეთებაზე, მითხრა, რომ ამ შემთხვევაში ორივეს სამსახურიდან გაგვანთავისუფლებდნენ. შევყევით... დაიწყო ყვირილი, მაგიდაზე მუშტების რტყმა, მეც ავყევი, ავყვირდი. გასვლის დროს ვუთხარი, რომ შენ კი გინდა ამის გაკეთება, მაგრამ გყავს ჩემნაირი გიჟი კათედრის გამგე, რომელიც ხელს გიშლის-მეთქი! რექტორის მისაღებში ისეთი ხალხი დამხვდა, მაშინვე გახდა ნათელი, თუ რატომ ყვიროდა ჩხიკვიშვილი. მას სურდა ხალხისთვის დაენახვებინა, რომ ის არაფერ შუაშია... ძალიან დიდი ზემოქმედება იყო. ეს ის დროა, როცა ხრუშჩოვი ყველანაირად ცდილობს გარუსების პოლიტიკის გატარებას. უბრალოდ, ამით მან ნიადაგი მოსინჯა. საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ეროვნულ ენაზე მხოლოდ თბილისის და ერევნის უნივერსიტეტებში იკითხებოდა ლექციები. როცა სხდომაზე ერთმანეთს სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები ვხვდებოდით, მათ არ სჯეროდათ, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ლექციები ქართულ ენაზე იკითხებოდა. ჩვენი პროფესურის დიდი ნაწილი აქტიურად დაგვიდგა მხარში. ესენი იყვნენ: ისტორიის კათედრის პროფესორი გივი ჟორდანია, ეკონომიკის კათედრის აკადემიკოსი, იურიდიული კათედრის დეკანი და სხვები. ყველა კატეგორიულ წინააღმდეგობას უწევდა ამგვარი რეჟიმის გატარებას, იყო გარკვეული ფენა, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენს წინააღმდეგ საერთო აზრის შემუშავებას.**

*  *  *

— ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა პერიოდში თქვენ არც ერთი ჯილდო არ გაქვთ მიღებული, არც მედლები, არც ორდენები...

ცოტა ხნის წინ კი საქართველოს პატრიარქმა დაგაჯილდოვათ. რა ჰქვია ამ ჯილდოს და როგორი იყო თქვენი მაშინდელი შეხვედრა?

**— ეს იყო ჩემთვის ყველაზე ბედნიერი დღე. დამირეკა პატრიარქის მდივანმა შორენამ და მკითხა შევძლებდი თუ არა შვიდ საათზე პატრიარქთან მისვლას.**

**ჩემს რძალს უნდა შევხვედროდი, რომელიც იქ უნდა წამომყოლოდა, მაგრამ მირეკავს ირინა (რძალი) და მეუბნება, რომ მთელი ოჯახით ვიყავით მიწვეული. როდესაც მივედი, დარბაზი ხალხით გაჭედილი დამხვდა. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა... ვიფიქრე, რომ ალბათ რამდენიმე ოჯახი უნდა დაელოცა და იმიტომ იყო ხალხი თავმოყრილი. ჩემი ძმის გიგას ოჯახიც იქ იყო. ჩემი შვილიშვილები და შვილთაშვილებიც აქეთ-იქით დარბოდნენ... მომიახლოვდა ერთ-ერთი მოძღვარი და პატრიარქთან ოთახში შემიყვანა. არაფერი არ ვიცი, რა ხდება. უწმინდესმა თავის გვერდზე დამსვა. ჩემს შესახებ საუბარი დაიწყო მამა გიორგი გამრეკელმა. მაქეს, მადიდეს, ცაში ამიყვანეს... ბოლოს პატრიარქმა თქვა: „შემოიტანეთ“ და განაცხადა: „მე მარიკა ლორთქიფანიძეს ეკლესიის მიერ გაცემული „წმინდა გიორგის“ უმაღლესი ორდენით ვაჯილდოვებ იმ დამსახურებისთვის, რაც მას მიუძღვის ეკლესიისა და ერის წინაშე“. და მე ვაკუთვნებ მას „საქართველოს დედის წოდებას“! მაშინ კი წამსკდა ცრემლები. რამდენად ვიმსახურებდი ამ დიდ პატივს, არ ვიცი... პატრიარქმა, უკეთ იცის...**

*  *  *

ასეთია იგი, ყველასთვის საყვარელი, ყველა ასაკში მშვენიერი ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე.

მასთან შეხვედრა და საუბარი ჩვენთვის ბედის განსაკუთრებული საჩუქარი იყო, მარად სახსოვარი. როდესაც პირველად დავუკავშირდით და ავუხსენით, რაც გვსურდა, უპრობლემოდ დაგვთანხმდა. ერთი დიდი რეჟისორის სიტყვები გაგვახსენდა: „ვარსკვლავები“ ყველასთვის კაშკაშებენ“...

**ნინო თოდრაძე,**
**გულო ფარქოსაძე**
**მარკეტინგისა და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის სტუდენტები**






ფლობს და ნატიფი გემოვნებით იყენებს არქაული ენის მოდულაციებს არა როგორც მკვდარ, გახევებულ მასალას, არამედ როგორც ცოცხალ ნოვაციურ ელემენტს, რაც საშუალებას აძლევს მას თარგმანში სრულყოფილად აღადგინოს ათასი წლის წინანდელი რელიგიური ტექსტის ძალმოსილება.

თარგმანების ეს პოეტური კრებული შემოქმედებითი ძიებისა და სიახლის სურნელით არის გაჟღენთილი“ **(თამაზ ჩხენკელი).**

ჩვენის მხრივ ვიტყოდით, რომ ქართველმა მკითხველმა მიიღო სრულიად უნიკალური სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული მერიდიანების აღმნიშვნელი, დიდი გემოვნებით შედგენილი კრებული, სადაც ბიზანტიური და რუსული ჰიმნოგრაფიის და ჰომილეტიკის გვერდით, XX და XXI საუკუნეების მოდერნისტულ-სიმბოლისტურ ამერიკულ და რუსულ პოეზიას ეზიარებით.

# მოპირდაპირე ნაპირები

„პოეზიის მრავალგვარობას საზღვრები არა აქვს, მას ვერ ზღუდავს დროც და სივრცეც.

ნინო ბარამიძის თარგმანთა ამ კრებულში წარმოდგენილი პოეტები სხვადასხვა დროის ქვეყნებსა და განსხვავებულ ენებს წარმოადგენენ, მაგრამ თარგმანის უცნაური ხელოვნების წყალობით ისინი ქართული პოეტური კულტურის წიაღში ერთიანდებიან, ფერს იცვლიან და განაგრძობენ სიცოცხლეს.


ნინო ბარამიძე

მთარგმნელის ინტერესების სფეროში შემოდიან: ამერიკელი ეზრა პაუნდი, რუსი პოეტი კუზმინი, ანდრეი ბელი და მთლად ულტრათანამედრვოე იან დარიუსი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მთარგმნელის ოსტატობა ძველი ბერძნული ჰიმნოგრაფიის თარგმანისას. როგორ ახერხებს ამას ნინო ბარამიძე?

ქართულ პოეტურ მეტყველებას რამდენიმე ნაკადი ასაზრდოებდა: ხალხური, ურბანული, მწიგნობრული. ეს უკანასკნელი გასულ საუკუნეში ძველი პოეტური კულტურის ათვისების მეშვეობით თანდათან იძენდა ძალას. ეს პროცესი დღესაც გრძელდება უნივერსალურად მოაზროვნე პოეტებისა და მთარგმნელების ნაღვაწში.

ნინო ბარამიძე ორგანულად

რომანოზ მელოდოსი, იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური, იოანე მაკოვსკი, ვზრა პაუნდი, მიხეილ კუზმინი, ანდრეი ბელი, იოანე შახოვსკი, საქართველოში მცხოვრები თანამედროვე რუსულენოვანი პოეტი იან დარიუსი... მთარგმნელის მიერ ზუსტად ნაპოვნი შესაბამისი სტილი, ენობრივი ქსოვილი!..

*  *  *

**„მთარგმნელი ორ სამყაროს შორის მდგარი მედიუმია, — განმარტავს ნინო ბარამიძე — რომელიც მისტიკური თვალით ჭვრეტს, ერწყმის და იუფლებს სხვა ეპოქიდან, კულტურიდან, ენიდან და პიროვნებიდან მოსულ სიგნალებს, იმპულსებს, ბგერებს...**

**საკუთარ თავში გამოატარებს და როგორც ცეცხლოვან ბრძმედში ისე გამოაწრთობს სანამ ეს „სხვა“ მისი მეორე „მე“ არ გახდება. ასე აერთებს ის მოპირდაპირე ნაპირებს, ასე გადააქვს ერთი სამყაროდან მეორეში ის, რაც ესოდენ სხვისია და ესოდენ თავისი“...**

**ეზრა პაუნდი**

## მშვენიერ ელენა „რეკემას“

*რა არის ჩემთვის ყველაზე მეტად უძვირფასესი?*

რაჟამს განიხსნება ლილისფერი მწუხრი ბინდობის,
მზერას მივაპყრობ შენს მდუმარ ხელებს,
მაღალ მხრებს,
და მათ სევდიან მოხდენილობას.
საცნაურია შენი სახე
იქ...
აჩრდილთა შორის,
სად ვარსკვლავები ღრუბელთა წიაღ
ნაზკვამლისფერი თმების ღრუბლებად
განისვენებენ.

ო, მე ვიცი, რომ ჩემი ძახილი შენს გულს შესწვდება,
ო, ყრუ ხმაური ყრუ ნაკადთა ჰაერს რომ არღვევს.
შენი გულია ჩემს გულის ძახილს ნაზად რომ
ნებდება...
სანამ სავსებით არ დამივიწყებ,
და სანამ შენს გულს დაედინება გოლეული
ჩემი სიზმრების.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისი იზოლაციაშია

**სააკაშვილმა, როდესაც იზოლაციაში აღმოჩნდა, მეგობრობის ხელი გაუწოდა თურქეთს და ირანს.**

თუ 2008 წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა დასავლელი ქვეყნები მხარს უჭერდნენ საქართველოს, დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა: ბუშის კამპანია ყოფილ სსრ კავშირში პროდასავლური რეჟიმების მხარდაჭერისა და საქართველოს და უკრაინის ნატოსთან შეერთებასთან დაკავშირებით შეწყდა. არ არის გასაკვირი, რომ სააკაშვილი ცდილობს განამტკიცოს კავშირურთიერთობანი საკუთარ რეგიონში: მაისში მან თბილად მიიღო თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი. შეიძლება მოულოდნელი იყოს, რომ საქართველო სულ უფრო აქტიურად ამყარებს ურთიერთობას თეირანთან. მიმდინარეობს მოლაპარაკება ირანის ინვესტიციების შესახებ საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებში, ირანში ქარის ელექტროსადგურების საქართველოს პროექტების შესახებ და სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ. ყველა ეს წამოწყება არ ეწინააღმდეგება გაეროს სანქციებს.

ირანის მხარემ უკვე წამოაყენა წინადადება, რომ ახმადინეჟადი ჩავა თბილისში, მაგრამ საქართველო ჯერჯერობით თავს იკავებს მისი მოწვევისგან, ვინაიდან ეშინია არ გააღიზიანოს ამერიკის შეერთებული შტატები. თავის მხრივ, ირანმა მხარი დაუჭირა საქართველოს სეპარატისტული რესპუბლიკების დაბრუნებაზე, რომლებიც ამჟამად რუსეთის მიერ არიან ოკუპირებული. ირანთან ურთიერთობის განვითარებით საქართველო ცდილობს შეარიგოს იგი ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ვინაიდან ამერიკა-ირანის მტრობა რუსეთს დიდ ძალაუფლებას ანიჭებს ვაშინგტონზე, მიაჩნია ქართველ პოლიტოლოგს ალექსანდრე რონდელს. მაგრამ ამავე დროს თბილისი აშკარად იზღვევს თავს, რეგიონში იჩენს ახალ მეგობრებს, ისეთებსაც კი, რომლებიც ამერიკისთვის მტრულია.

**ოუენ მეტიუზი**

Newsweek



# საქართველოს ნატოს იმედი არ უნდა ჰქონდეს

**ინტერვიუ საგარეო პოლიტიკის გერმანიის საბჭოს დირექტორთან, რუსეთის შესახებ წიგნების ავტორთან, ალექსანდრ რართან.**

*– იდეები იმის შესახებ, რომ რუსეთი უნდა იყოს ნატოში, გერმანიაში სულ უფრო პოპულარული ხდება. რატომ?*

– გერმანელი პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები უკვე დიდი ხანია რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობას აუცილებლად მიიჩნევენ. ეს სწორი კონცეფციაა, ვინაიდან რუსეთის ევროპულმა იზოლაციამ შეიძლება სწრაფად მიგვიყვანოს იქამდე, რომ იგი კვლავ იგრძნობს თავის თავს, ანდა იქნებ გახდეს კიდეც, ევროპის მტერი. ამიტომ გერმანელი პოლიტიკოსები, რომლებიც არ ივიწყებენ ძველ საბჭოთა პოლიტიკას, უპირატესობას ანიჭებენ თანამედროვე რუსეთის ჩართვას ევროპულ და ნატოს საქმეებში. რუსეთის ნატოში ჩართვასთან დაკავშირებით, დარწმუნებული არ ვარ, უნდა თუ არა ეს თავად მოსკოვს: რუსეთის პოლიტიკური სფეროდან არავის მოუხდენია რეაგირება გერმანელი ინტელექტუალებისა და პოლიტიკოსების ამ ინიციატივაზე.

*– არსებობს თუ არა თანამშრომლობის სხვა შესაძლო ფორმები?*

– დიახ, და ეს სწორედ ძალიან საინტერესო ინიციატივაა, რომელიც გამოიჩინეს კანცლერმა ანგელა მერკელმა და პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ივნისის შეხვედრაზე მეზებერგის ფარგლებში. იქ პირველად გამოქვეყნდა ერთობლივი წინადადება რუსეთ-ევროკავშირის კომიტეტის შექმნის შესახებ ევროპის უშიშროების საკითხებზე. ეს მეტად საინტერესო ინიციატივაა, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირი და რუსეთი ისაუბრებენ ევროპული უშიშროების შესახებ.

*– „ვეიმარის სამკუთხედის“ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები: რადოსლავ სიკორსკი პოლონეთიდან, ბერნარდ კუშნერი საფრანგეთიდან და გიდო ვესტერველე გერმანიიდან ბერლინში შეხვდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს...*



– ეს კარგი თემაა. ეს მეტად საინტერესო იდეაა, მისი დახმარებით არის შანსები ოთხი ქვეყნის: გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთისა და რუსეთის ხანგრძლივი თანამშრომლობის გეგმების რეალიზაციაზე. „ვაიმარის სამკუთხედი“ ორიენტირებულია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაზე. ეს გაცილებით უფრო ხელსაყრელი ადგილია გერმანია-რუსეთის ან საფრანგეთ-რუსეთის მოლაპარაკებისთვის, ვიდრე არსებული კავშირი, რომელსაც ეწოდება სამეული, ესე იგი, ბერლინი-პარიზი-მოსკოვი. „ვაიმარის სამკუთხედი“ რუსეთთან ერთად ევროპაში გაცილებით უფრო მეტ ნდობას მოიპოვებს, ვიდრე ზემოაღნიშნული სამეული. თუ „სამეულის“ მონაწილეები მზად არიან გულღიად ილაპარაკონ რუსეთთან, მაშასადამე, ჩემი აზრით, ამ კავშირს შეუძლია შეცვალოს არა მხოლოდ სამეული, არამედ აქვს იმის შანსიც, რომ გახდეს ევროკავშირისა და რუსეთის ერთმანეთთან თანამშრომლობის ცენტრიც, შეუძლია შეასრულოს ევროპის კავშირთან რუსეთის ინტეგრაციის ცენტრის როლიც. მაგრამ „ვაიმარის სამკუთხედის“ ჩარჩოებშიც კი ბერლინსაც, ვარშავასაც და პარიზსაც უნდა ახსოვდეთ, რომ მოსკოვის გარდა უნდა ესაუბრონ კიევსაც.

*– სხვათა შორის, ხომ არ გახდება რუსეთის ევროკავშირთან დაახლოება ნატოს ინტერესის შეწყვეტად დამოუკიდებელი საქართველოსადმი და უკრაინის ალიანსში შესვლისადმი?*

– ეს მეტად მარტივია: უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში უკრაინის ნატოში შესაძლო შესვლა არ იქნება აქტუალური, ვინაიდან პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ ამჟამად მისი ქვეყანა ამისკენ არ ისწრაფვის. ნატოს ხომ არც უფლება აქვს და არც შესაძლებლობა, აიძულოს რომელიმე ქვეყანა ალიანსში შესვლაზე. რაც შეეხება საქართველოს შესაძლო ინტეგრაციას ნატოში – ეს ჯერჯერობით რამდენიმე მიზეზის გამო შეუძლებელიც კია: ჯერ ერთი, სანამ პრეზიდენტი ბარაკ ობამა იქნება, რომელიც არავითარ ინტერესს არ იჩენს ამ რეგიონისადმი, მეორეც, სანამ პრეზიდენტი სააკაშვილი მკაფიოდ არ განაცხადებს უარს ნებისმიერ აგრესიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნატო არ გასწევს კონფლიქტის რისკს რუსეთთან და არ დადგება საქართველოს მხარეს.

Nasz Dziennik

## დედამიწის ზურგზე



**ყირგიზეთში დაშალეს „ბაკიევის“ პარლამენტი**

დროებითმა მთავრობამ გასცა ბრძანება პარლამენტის გაშვების შესახებ გადატრიალებისთანავე, მაგრამ ამის გაკეთება მოხერხდა ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რომელსაც ამომრჩეველთა 90,55 პროცენტმა მისცა ხმა. ყირგიზეთის ახალი პარლამენტის არჩევნები გაიმართება ოქტომბრის პირველ ნახევარში.

* * *

**უკრაინამ საბოლოოდ გადაწყვიტა, საგარეო პოლიტიკაში გვერდი აუაროს ნატოს**



უმაღლესმა რადამ მიიღო კანონი უკრაინის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპების შესახებ. იქიდან ამოიღეს პუნქტი ნატოს შესაძლო წევრობის შესახებ. კანონი აგრეთვე ითვალისწინებს რუსული ენის თავისუფლად გამოყენებასა და დაცვას. ოპოზიცია აღშფოთებულია.

* * *

**პოლონეთი კვლავ ეჭვობს, რომ რუსები მჭკურველობდნენ (მაროდიორობდნენ): ტუ-154-ის კატასტროფის ადგილიდან დაიკარგა ეროვნული ბანკის უფროსის ფასეულობანი**



რუსეთის სამართალდაცვის ორგანოები ჯერჯერობით ამ ეჭვს კომენტარს არ უკეთებენ. ადრე უკვე დააკავეს 4 ჯარისკაცი, რომლებმაც დაღუპვის ადგილიდან მოიპარეს კრედიტები – მაშინ მოსკოვში ასევე დიდი ხნის განმავლობაში კომენტარს არ უკეთებდნენ მაროდიორობის ფაქტს.

* * *

**რუსეთის შესვლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს ამ ქვეყანაში დემოკრატიისა და თავისუფლების წინსვლას**

ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს კვლავაც დაუჭიროს მხარი დემოკრატიას რუსეთში და პოსტსაბჭოთა სივრცეში და არ დამალოს თავისი შეშფოთება ადამიანის უფლებათა დაცვის მაგალითებთან დაკავშირებით. „ეს ღონისძიება გაზრდის გამჭვირვალობას, აგრეთვე გახდება იმპულსი დემოკრატიული უფლების ნორმების უფრო მკაცრი დაცვისთვის“, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში.




# საქართველოს პოლიცია – ახალი მონსტრი თუ წარმატების ფორმულა?

**„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომელმაც ექვსი წლის წინათ ხელისუფლებაში მოიყვანა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ქვეყნის ახალმა ხელმძღვანელებმა დაიწყეს საქართველოს პოლიციის რეფორმა, უწყებისა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ყველაზე კორუმპირებულად ითვლებოდა.**

ხელისუფლება მოქმედებდა მკაცრად და უკომპრომისოდ. ბევრისთვის შედეგი სამწუხარო აღმოჩნდა – ათეული ათასობით კაცი დარჩა უმუშევარი, ასეულობით კი – ციხეში. მაგრამ ამ მუშაობის შედეგებით ოფიციალური თბილისი კმაყოფილი დარჩა – როგორც, სხვათა შორის, მოსახლეობაც.

საზოგადოებრივი გამოკითხვის მიხედვით, დღეს პოლიციას საქართველოში ენდობა მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტი, თანაც რეფორმამდე ეს მაჩვენებელი 10 პროცენტს არ აჭარბებდა.

მაგრამ ოპოზიცია კვლავ იმეორებს, რომ საქართველოს სამართალდაცვის ახალი ორგანოები გადაიქცნენ რეჟიმის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის ძლიერ ინსტრუმენტად.

პოლიციის განყოფილებანი ესაა – კაშკაშა, კაპიტალურად გარემონტებული შენობები ფართო ფანჯრებით. თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო განთავსებულია ახალ „გამჭვირვალე“ ნაგებობაში.

შენობათა არქიტექტურა მრავალმხრივ სიმბოლურია – სწორედ ასე, გამჭვირვალედ და ღიად, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ეკა ზღულაძის სიტყვებით, მუშაობს ამჟამად პოლიცია საქართველოში.

შინაგან საქმეთა სამინისტროში დღეს ორჯერ უფრო ნაკლები ხალხი მუშაობს, ვიდრე 6 წლის წინათ – დაახლოებით 30 ათასი თანამშრომელი. ოფისები აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, ხელფასი კი 14-ჯერ გაზარდეს.

მაგრამ, ზღულაძის სიტყვებით, მთავარი ცვლილებანი არის ის, რომ პოლიციამ ყურადღება გაამახვილა მოსახლეობის მომსახურებაზე, ამიტომ პოლიციის შენობები, რომლებიც ადრე ფანჯრებზე რიკულებით და რკინის კარებით გამოირჩეოდნენ, დღეს უფრო მოგვაგონებენ კომერციული ორგანიზაციების ან ბანკების ოფისებს.

საქართველოს პოლიციის რეფორმა იყო სწრაფი, მაგრამ მტკივნეული.

უკვე საწყის სტადიაში მოხდა სტრუქტურული ცვლილებები, ეგრეთ წოდებული ოპტიმიზაცია მთელი სამართალდაცვის სისტემისა – ერთბაშად რამდენიმე უწყება გაერთიანდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთო სახურავის ქვეშ, მათ შორის უშიშროების სამინისტრო და საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო. შედეგად – დაახლოებით 50 ათასი თანამშრომელი უმუშევარი დარჩა.

რეფორმამ გვერდი არ აუარა კრიმინალურ და სასაზღვრო პოლიციასაც, მაგრამ სწორედ საპატრულო პოლიციის გამოჩენის წყალობით შეძლეს დაებრუნებინათ დიდი ხნის წინათ დაკარგული ნდობა სამართალდაცვის ორგანოებისადმი საქართველოში.

საპატრულო პოლიციის შექმნა – ეს არის პროექტი, რომელსაც წარმატებულად მიიჩნევენ ხელისუფლების აშკარა კრიტიკოსებიც კი, – ამან ხელისუფლებას მიანიჭა რწმენა კვლავაც მოახდინოს ცვლილებანი.

სახელმწიფო ავტოინსპექციისგან თავის დაღწევა დიდი შვება იყო მოსახლეობისთვის. სტრუქტურა გააუქმეს ერთ დღეს, დაახლოებით 20 ათასი თანამშრომელი გაათავისუფლეს.

ქართველი მძღოლების სიტყვებით, ადრე ინსპექტორებთან შეიძლებოდა მოლაპარაკება, რომლებიც ხშირად ხეებს ან ბოძებს იყვნენ ამოფარებული მძღოლების მოლოდინში. თუმცა, გამოუცნობი იყო – ვაჭრობა გიწევდა დიდხანს, მთავარი იყო დაგედასტურებინა, რომ შენ პრინციპულად გადახდისუუნარო იყავი. მაშინ შეიძლებოდა თავი გამოგესყიდა ხუთი ანდა ორი ლარითაც კი.

ახალ საპატრულოებთან მოლაპარაკების შანსები აღარ არის – დარღვევის დროს გამოგიწერენ ჯარიმას, გადახდა კი დარღვევისთვის მოგიწევს ბანკის მეშვეობით.

ამჟამად საპატრულო პოლიციელის ხელფასი – 700 ლარია. სახელმწიფო ავტოინსპექციის ძველი თანამშრომლები, პრაქტიკულად, აღარ არიან. ისინი, ვინც დარჩა – ან აღმოჩნდნენ ძველი ჩვევების ტყვეებად ან თავად წავიდნენ, როდესაც ვერ მოერგნენ ახალ პირობებს.

საქართველოს ტელეარხები ფართოდ აშუქებდნენ ბრძოლას კორუფციისა და ქრთამის წინააღმდეგ, რასაც თან ახლდა ჩინოვნიკების დაპატიმრებაც.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ასეთი საჩვენებელი „წმენდის“ შედეგად დააკავეს 450 მაღალი რანგის ჩინოვნიკი.

იმის მსხვრევა, რისიც შეიძლებოდა, უკვე ნორმად იქცა. კორუფცია სამართალდაცვის სისტემაში, რბილად რომ ვილაპარაკოთ, ახლა უკვე აღარ არის მასობრივი მოვლენა, კრიმინალური სამყაროს ბოსები კი დღეს ან გაქცეულები არიან, ან სასჯელს იხდიან.

ილიას ინსტიტუტის სოციოლოგი და პროფესორი გიგა ზედანია პოლიციის რეფორმას საქართველოში რევოლუციურს უწოდებს. ის მას მიიჩნევს იმის მაგალითად, თუ ახალი ინსტიტუტის შექმნის დახმარებით როგორ შეიძლება შეცვალო თავად საზოგადოების კულტურაც.

„ჩვენ შევიგნეთ ერთი – შეიძლება ძალიან სწრაფად შეცვალო ის, რასაც ჩვენ ჩვენი კულტურის ნიშნად მივიჩნევდით, – ამბობს ზედანია. – ქცევის ნორმები, რაც საქართველოში არსებობდა, ისეთები, როგორიცაა კორუფციული ხელისუფლება, ანდა არაფორმალურ კრიმინალურ გაერთიანებათა უფროსობა, – შეიცვალა მეტად მოკლე დროის განმავლობაში, და ამაში ჩვენ სერიოზულ წარმატებებს მივაღწიეთ“.

თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც დღემდე ნოსტალგიით იხსენებენ წარსულ დროს.

ტაქსის მძღოლი, წარსულში კი პოლიციელი, 46 წლის თამაზი ამბობს, რომ ახალი სისტემა პოლიციაში – არაადამიანურია. წარსულში იყო კორუფცია და ქრთამები, მაგრამ იყო ნდობაც, – მიაჩნია მას.

სტატისტიკა მართლაც შთამბეჭდავია: 2006 წლიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა რაოდენობა 37 პროცენტით შემცირდა, შეიარაღებული ძარცვა შემცირდა 78 პროცენტით, განზრახ მკვლელობათა რიცხვი შემცირდა 40 პროცენტით. მანქანების გატაცება იშვიათი დანაშაული გახდა.

სხვათა შორის, ამჟამინდელი ხელისუფლების კრიტიკოსების სიტყვებით, დანაშაულები, რასაც ჩადიოდნენ სამართალდაცვის ორგანოები, რჩება დაუსჯელი. მათ შორის ოპოზიცია საუბრობს გახმაურებულ მკვლელობებზეც, რომლებსაც, მათი სიტყვებით, არ იძიებენ ხელისუფლების მფარველობის გამო. აცხადებენ აგრეთვე დარღვევების შესახებ ოპოზიციის მიტინგების დარბევის დროს.

კორუფციამ, უბრალოდ, შეიცვალა ფორმა, გახდა ელიტური, გვარწმუნებენ ოპოზიციონერები.

მაგრამ სოციოლოგ გიგა ზედანიას აზრით, პოლიციის რეფორმა მთლიანად შეიძლება წარმატებულად იქნეს მიჩნეული.

„ამ სფეროში საქართველოს მოსახლეობა თითქმის ერთმნიშვნელოვნად აღიარებს წარმატებას და იგი ახალ პოლიციას ენდობა უფრო მეტად, ვიდრე ძველს – ასე რომ, მე მგონია, აქ დავები, უადგილოა“, – მიაჩნია ზედანიას.

**ნინა ახმეტელი**

BBC RUSSIAN.com

წლები

# სავსე ქართული პატიოსნებით

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ ხაჭაპურიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.**

ვისაც კი ბედნიერება ჰქონია მასთან პროფესიული თუ უბრალო ადამიანური ურთიერთობისა, ყველა ერთსულოვანია შეფასებაში – გურამ ხაჭაპურიძე არის ნიჭითა და ინტელექტით დაჯილდოებული, მაღალი რანგის პროფესიონალი, შრომისმოყვარე, ამოუწურავი ენერგიის პატრონი, მუდამ სიახლის მაძიებელი, სამშობლოს სიყვარულით დამაშვრალი და მარად მზად საქართველოსათვის მყოფელი ყველა სიკეთის გასაკეთებლად.

შეუძლებელია პატარა წერილში ჩაატიო გურამ ხაჭაპურიძის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა, რომელიც მეტად შინაარსიანი და საინტერესოა.

დაიბადა 1930 წელს ქ. თბილისში, ვერაზე. დაამთავრა ვაჟთა მე-6 სკოლა. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჯერ ყაზახეთში, შემდეგ მოსკოვში და ქალაქ არხანგელსკში.

1984 წლიდან ბრუნდება სამშობლოში, სადაც დაინიშნა ქ. თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს ქალაქის მთავარ სპეციალისტად სამედიცინო რეაბილიტაციის დარგში. 1986 წელს თბილისში პირველმა დააარსა კომერციული სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ვერისუბანი“, ხოლო 1988 წელს – ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამკურნალო-დიაგნოსტიკის ცენტრი, შემდეგ, 1991 წელს, ამავე სახელობის სამედიცინო კოლეჯი, 1995 წელს კი უკვე სამედიცინო უნივერსიტეტი.

ბატონი გურამი 60 წლის ასაკში საკუთარი სურვილით ჩაება ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ ომში და 1991 წლის 23 იანვარს სოფელ ქურთასთან მძიმედ დაიჭრა გულმკერდის არეში.



არ შეიძლება არ გავიხსენო ისიც, რომ ჯერ კიდევ ადრე, 1956 წლის 9 მარტს თბილისში მომხდარი სისხლიანი ტრაგედიის დროსაც, იგი იყო ეროვნული ინტერესების აქტიური დამცველი, რის გამოც 10 მარტს საკავშირო უშიშროების კომიტეტმა დააპატიმრა.

ბატონ გურამს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამედიცინო ნაშრომი; არის მედიცინის დარგში 12 გამოგონების ავტორი, აქვს ისტორიული ნარკვევები, 336-გვერდიანი სოლიდური შრომა „ჩრდილში გაბნეული მარგალიტები“. ეს უნიკალური ნაშრომი ისტორიული წყარო, უბადლო დოკუმენტია, რომელიც მომავალ თაობას ნათელ წარმოდგენას შეუქმნის იმ ადამიანებზე, რომლებიც საზღვარგარეთ აღმოჩნდნენ და თავი გამოიჩინეს ცოდნითა და ინტელექტით, ვაჟკაცობით და ნიჭიერებით.

ბატონი გურამი არის პიროვნება, რომელმაც მუხლჩაუხრელი შრომით, მუდამ სამშობლოზე ზრუნვით განვლო ცხოვრება; სადაც კი მას უმუშავნია, ყველგან ღრმა კვალი დაამჩნია, იყო გზის გამკვლავი, სიახლის დამნერგავი.

მის შრომით ბიოგრაფიაში ძალიან მნიშვნელოვნად და სრულად წარმოჩენილია მისი პედაგოგიური ნიჭი, შემართება და უნარი ძლიერი ხელმძღვანელისა. ყოველივე ეს აშკარად გამომზეურდა, როცა თბილისში ხელმძღვანელობდა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტს და სამედიცინო კოლეჯს, რომელსაც ამჟამადაც წარმატებით ხელმძღვანელობს. ბატონმა გურამმა შესძლო თავის გარშემო შემოეკრიბა საქართველოში ცნობილი მაღალი გამოცდილების მქონე კვალიფიციური კადრები (9 აკადემიკოსი, 19 პროფესორი, 21 დოცენტიძ.

იგი გახლდათ რესპუბლიკაში ერთ-ერთი ინიციატორი და უშუალო ხელმძღვანელი უნივერსიტეტსა და კოლეჯში ევროპული განათლების შემოღებისა, ბოლონიის დეკლარაციის პრინციპების დანერგვისა და არაერთი სიახლის შემოტანისა სტუდენტთა სწავლების საკითხებში.

გურამ ხაჭაპურიძის ცხოვრებისეული კრედოა მოსწავლეთა მაღალი პროფესიული მომზადება, ეროვნულ-საგანმანათლებლო პროგრამის გონივრულად წარმართვა, რათა ეროვნული სულისკვეთებით აღზარდოს და გზა დაულოცოს კურსდამთავრებულებს. ამ მიზნით ტარდება პატრიოტული აღზრდის, საქართველოს გეოგრაფიის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები, შემეცნებითი ექსკურსიები, სამეცნიერო კონფერენციები და შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან...

გურამ ხაჭაპურიძე საქმეში პრინციპული და ულალატოა, მეგობრობაში – გამტანი და გვერდში მდგომი, ოჯახში – ყურადღებიანი და მოსიყვარულე.

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაგანათლებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის პროფესორი გურამ ხაჭაპურიძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, გოგებაშვილის სახელობის საპატიო მედლით და სხვა უამრავი ჯილდოთი. მათ შორის, ყამირ მიწაზე და არხანგელსკში მრავალწლიანი თავდადებული და შემოქმედებითი შრომისათვის.

ვუსურვებთ ბატონ გურამს დიდხანს სიცოცხლეს, აი, ისეთს, თვითონ რომ უყვარს – საინტერესოს, მოუსვენარს და შემოქმედებით აღსავსეს.

**გურამ ცინცაძე,**
**დამსახურებული პედაგოგი,**
**იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალოსანი**

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს სს „ქუთბარიტის“ სამეურვეო ქონების რეალიზაციის მიზნით.**

აუქციონი ჩატარდება 2010 წლის 17 ივლისს. აუქციონში მონაწილეობის მსურველმა (მონაწილემძ გაკოტრების მმართველის სახელზე უნდა წარმოადგინოს: აძ განაცხადი; ბძ სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიში, ბანკი რესპუბლიკა, ანგარიში №33050001, მფო 220101757; ბანკის კოდი: 204856263, ბე-ს თანხის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი; გძ განაცხადის შემტანი ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის მოწმობის ქსეროასლი (აუქციონის დღეს თან უნდა იქონიოს პირადობის მოწმობაძ; იურიდიული პირის შემთხვევაში – სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი.

განაცხადის წარმომდგენის მეშვეობით შეტანის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულება.

მონაწილის აუქციონში მონაწილეთა ჟურნალში რეგისტრაციისთანავე გადაეცემა აუქციონში მონაწილის ბილეთი და იღებს აუქციონის მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომელიც გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიში, ბანკი რესპუბლიკა, ანგარიში №33050001, მფო 220101757; ბანკის კოდი: 204856263 ჩარიცხოს აუქციონზე მის მიერ დასახელებული თანხა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გაკოტრების მმართველს.

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთის (ქვითრისძ გაკოტრების მმართველთან წარმოდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება.

თუ აუქციონში გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ქონების შესაძენად აუქციონზე მის მიერ დასახელებულ თანხას, მასთან არ გაფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება.

ნებისმიერი პირი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს აუქციონის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით.

გასაყიდ ქონებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია 10 სთ-დან 18 სთ-მდე, კვირის გარდა.

საკონტაქტო ტელ: 877 77 28 88.

აუქციონი გაიმართება 2010 წლის 17 ივლისს 12 საათზე. მის. ქუთაისი, სს „ქუთბარიტი“ – მდებარე ქუთაისი, წერეთლის ქ. 170ა, ადმინისტრაციულ შენობაში.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**
**სს „ქუთბარიტი“ – მდებარე ქუთაისი, წერეთლის ქ. 170ა.**

| ნომერი | ქონების დასახელება | ტექნიკური დახასიათება და მდგომარეობა | რაოდენობა | ფასი ლარში |
|---|---|---|---|---|
| 1 | ტრანსფორ.მიწის ნაკვეთით 720მ² | | | 60000 |
| 2 | კარადა ხის | | 1ც. | 29,65 |
| 3 | სავაჭრო ჯიხური | | 2ც. | 93.81 |
| 4 | რეიქტორი (ცისტერნა) | | 1ც. | 1619.14 |
| 5 | საავტომობილო გზა | | 1 | 1594.68 |
| 6 | ტრანსფორმატორი ფიდერის | | 2ც. | 600 |
| 7 | სურიკი | | 52კგ. | 78 |
| 8 | პლაფონი | | 2540ც. | 1041.80 |
| 9 | ქაღალდის პარკი ნახმარი | | 520ც. | 209.48 |
| 10 | თერმოპლასტი | | 14930კგ. | 12452 |
| 11 | მიწის ნაკვეთი | | 2100მ² | 1მ²-70 |

ენა მდიდარი...



**განყოფილებას უძღვება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გივი ბოჯგუა**

# „და მის სიკვდილით არ გაგახარებთ“

## 9. რატომ ვისესხოთ?!

მკითხველი თუ დამიჭერს მხარს, ერთხელაც შევუტიოთ ოკუპანტ კალკებს! გავიხსენოთ: კალკი იქმნება მაშინ, როცა ერთი ენა მეორისგან ისესხებს სიტყვის მნიშვნელობას. მაგრამ, თუ არაფერი გვჭირს სასესხებელი, ნებაყოფლობით რატომ ვიწოდებოდეთ მოვალედ?

ვთქვათ, წავიკითხეთ ან მოვისმინეთ ასეთი წინადადება: თავდამსხმელები **ნიღბებში** იყვნენ. არადა, თავდამსხმელები ვერაფრით მოთავსდებოდნენ ნიღბებში. ვერ ჩაეტეოდნენ! აი, რა გვიყო რუსული ენის გავლენით მიღებულმა კალკმა (в маскахძ. სწორი ფორმა იქნებოდა: თავდამსხმელები **ნიღბიანები** იყვნენ, თუმცა, ეს ფორმაც სტილისტურად არ უნდა იყოს მაინცდამაინც გამართული, ვინაიდან ყოველ თავდამსხმელს თითო ნიღაბი ეკეთებოდა და არა რამდენიმე. ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად უკეთესი იქნებოდა წინადადების სხვაგვარად გადაწყობა: ყველა თავდამსხმელი **ნიღბიანი** იყო.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში განხორციელდა ანტონ ჩეხოვის მოთხრობა „Дама с собачкой“, რომლისთვისაც სათაურად ურგუნებიათ **„ქალი ძაღლით“**. ინსცენირების სათაურის ქართული თარგმანი მისაღებად არ მიმაჩნია ორი მიზეზის გამო: 1. მოთხრობაში ზოგადად ქალი კი არ იგულისხმება, არამედ, дама, ანუ გათხოვილი ქალი, მანდილოსანი. 2. არც собачка-ა უბრალოდ ძაღლი, რომელიც კნინობითი ფორმითაა წარმოდგენილი; მას ქართულად შეესაბამება ფინია (ჯიშიაძ, ცუგა, გოშია, ფინია, თუნდაც – ძაღლუკა. „ქალი ძაღლით“ კი არ ასახავს ამ ნიუანსებს. ყველაფერი აქაც კალკის ბრალია!

მახსენდება ს. იუტკევიჩის ფილმი „Человек с ружьём“ (1938 წ.ძ, რომლის სათაური სწორად ითარგმნა თავის დროზე – **„თოფიანი კაცი“**. ზუსტად არა, მაგრამ დაახლოებით ასევე უნდა ყოფილიყო ჩეხოვის შემთხვევაშიც – ვთქვათ, **„ძაღლიანი ქალი“**. უფრო სწორად – **„ძაღლიანი მანდილოსანი“** ან „**მანდილოსანი ფინიასთან ერთად“,** ან კიდევ – **„მანდილოსანი ფინიას თანხლებით“**. ერთადერთ ქართულ თარგმანში ამ მოთხრობის სათაურია ჯერ – „ქალი და მისი ფინია“, ბოლოს კი – „ქალი, რომელსაც ფინია ჰყავსო“.

ასეთივე კალკებია: კაცი **სიგარეტით (სიგარეტიანი კაცი),** მოხუცი **ჩიბუხით (ჩიბუხიანი** მოხუცი**),** გოგონა **გიტარით (გიტარიანი** გოგონა**)...** კომპანია „რუსთავი-2“-ს „კურიერში“ აქვს რუბრიკა „ადამიანი **ისტორიით“**, რაც სწორი არ არის (სიტყვა „ისტორიის“ შესახებ უკვე იყო წერილი გაზეთში და აქ თავს არ შეგაწყენთძ. ჯობდა რუბრიკას რქმეოდა უბრალოდ და უკალკოდ – **„საინტერესო ადამიანი“**.

ხელოვნებათმცოდნეები ხშირად იყენებენ ასეთ გამოთქმას: ნახატი შესრულებულია **ფანქარში, აკვარელში, ზეთის საღებავებში...** სწორია ფანქრით, აკვარელით, ზეთის საღებავებით.

ძალიან გაგვითამამდა რუსული имело место, რომელსაც სასოებით იყენებენ ქართულის მცირემცოდნენი. მაგალითად, **ადგილი ჰქონდა** საზღვრის დარღვევის **ფაქტს** (დაირღვა საზღვარიძ; **ადგილი აქვს** ხმების გაყალბებას არჩევნებში (ხმები გაყალბდა, გააყალბეს...ძ; ამ **ისტორიას ადგილი ჰქონდა** საფრანგეთში (ეს ამბავი, შემთხვევა მოხდა...ძ. ერთ განცხადებაში ამოვიკითხე: მანქანის რეცხვა **დაბალი ფასით.** ავტომანქანის რეცხვა საყოველთაოდ მიღებულია წყლითა და ჩვრით, წყლის ჭავლით, ორთქლით, მაგრამ დაბალი ფასით?! ამ შეტყობინების ავტორი ალბათ **იაფად რეცხვას** გულისხმობდა, მაგრამ გაკალკება არჩია!

* * *

წმინდანი ილია მართალი გვაფრთხილებდა: **„სწორედ უნდა მოგახსენოთ, ამისთანა წერაში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობაა და სიძულვილი... დაუდევნებლები ვართ ქართველები და კიდეც ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე“.**

ფეხბურთი

# ევროპამაც მოიცალა

**ძმები კაშიები, აკირემი, ჩიკვილაძე – ესენი ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდნენ თბილისის „დინამოს“ სახეს უკანასკნელ პერიოდში. გუნდიდან**



**მათი წასვლით, ბუნებრივია, მოირღვა კავშირი რგოლებს შორის, რამაც თავი ტალინის „ფლორასთან“ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გამართულ ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის პირველ შეხვედრაში იჩინა.**

მასპინძლებს ხეირიანად მისალმებაც არ დასცალდათ, რომ ცენტრიდან მოუწიათ თამაშის განახლება – თომაშვილის მიერ კონტროლირებად მარჯვენა ფლანგზე განავარდებული კოსმას ჩაწოდებას დუდიკოვის ზუსტი დარტყმა მოჰყვა – 0:1. ასეთი უილბლო დებიუტი ბევრს გატეხავდა წელში, მაგრამ, ბედად, დიდი ხვითოები არც ბალტიისპირელები აღმოჩნდნენ. მართალია, ამ კლუბმა ესტონეთის ჩემპიონატში უკვე 17 მატჩი მოიგო, მაგრამ კლასის დეფიციტს, ეტყობა, ვერანაირი პრაქტიკა ვერ ანაზღაურებს. ყოველ შემთხვევაში, სტუმართა უსუსურმა ბურთაობამ სათანადო კონდიციებიდან შორს მყოფ კახი კაჭარავას შეგირდებს მდგომარეობის გამოსწორებისა და მოკრძალებული გამარჯვების საშუალება მისცა – 2:1 (კახელიშვილი, ხმალაძე – პენალტით).

მეორე ქართულმა კლუბმა „ზესტაფონმა“ დიდებულად ისარგებლა კენჭისყრის საჩუქრით და შინ უპრობლემოდ გაუსწორდა სან-მარინოს „ფაეტანოს“ – 5:0 (დვალი – 2, გელაშვილი – 2, გორგიაშვილი). ასე რომ, თანამემამულეთაგან განსხვავებით, ყვირილასპირელებს ერთი კვირის შემდეგ ეგზოტიკური ექსკურსია ელით.

**ამავე ეტაპის დანარჩენი ბრძოლები ასე დასრულდა:** „ტოპოლი“ – „ზრინსკი“ 1:2, „ულისე“ – „ბნეი იეჰუდა“ 0:0, „ნარვა“ – „მიუპა“ 0:2, „ჟოდინო“ – „ფილკირი“ 3:0, „ზეტა“ – „დაჩია“ 1:1, „ტურკუ“ – პორტ ტალბოტი“ 3:1, „ნიტრა“ – „დიორი“ 2:2, „ყარაბახი“ – „სკოპლე“ 4:1, „შიბენიკი“ – „სლიემა“ 0:0, „სანტა კოლომა“ – „მოგრენი“ 0:3, „ლანელი“ – „ტაურასი“ 2:2, „კალმარი“ – „სტრეიმური“ 1:0, „პორტდაუნი“ – „სკონტო“ 1:1, „რუნავიკი“ – „გეფლე“ 0:2, „ანორთოსისი“ – „ბანანცი“ 3:0, „გრევენმახერი“ – „დანდალკი“ 3:3, „რანდერსი“ – „დიუდელანჟი“ 6:1, „ლიუბლიანა“ – „შიროკი ბრიეგი“ 0:2, „რეიკიავიკი“ – „გლენტორანი“ 3:0, „ლაჩი“ – „დნეპრი“ 1:1, „რაბოტნიჩკი“ – „ლუზიტანოსი“ 5:0, „ყარაგანდა“ – „რუხი“ 1:2, „ტირანა“ – „ზალაეგერსეგი“ 0:0, „ბელცი“ – „ლენქორანი“ 1:1.

**გია პლატონიშვილი**

ადამიანი თავის ადგილზე

# რინგი მისი მოწოდებაა

**სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ, კრივის როგორი ბუმი გამოიწვია ახალგაზრდობაში საერთაშორისო სარბიელზე დავით კვაჭაძისა და გიორგი კანდელაკის მოპოვებულმა სასახელო გამარჯვებებმა. იმ წლებში სპორტის ამ მართლაცდა ვაჟკაცური სახეობის სექციებს უამრავმა ყმაწვილმა მიაშურა, რომლებმაც ბირჟას ფიზიკური და სულიერი წრთობა ამჯობინეს.**



მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, თითო-ოროლა მერცხალს კი გაზაფხული ვერ მოჰყავდა.

ხელთათმნის ქართველ ოსტატებს მეორე სუნთქვა მას შემდეგ გაეხსნათ, რაც ფედერაციას სათავეში პეტრე ცისკარიშვილი ჩაუდგა, რომელსაც სიჭაბუკეში რინგზე ბევრი ოფლი და სისხლი აქვს დაღვრილი. სწორედ მის სახელს უკავშირდება უკანასკნელ წლებში დედაქალაქსა და რეგიონებში თოკიანი კვადრატების მოზღვავება, სადაც მომავალი ჩემპიონები უნდა დაფრთიანდნენ.

სადაც ყურადღება და დაფასებაა, იქ არც წარმატებები იგვიანებს – ახლახან ედიკ ბარდანოვის რუსთაველმა შეგირდმა ალექსანდრე დოკვაძემ (დაიმახსოვრეთ ეს გვარი!) ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატის მძიმეწონოსანთა პრესტიჟული ტურნირის ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო ჯემალ შალამბერიძემ (54 კგ.), თემურ ლორთქიფანიძემ და ბერიკა მხეცაძემ (70 კგ., ზაალ ჯავახაძე) მესამე ადგილი დაიკავეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის კობა ფხაკაძისა და მისი მწვრთნელის ზაალ ჯავახაძის ნაკაიკაცარი 20 ათას-20 ათასდოლარიანი პრემიებით აღინიშნა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამშობლო და ფედერაციის პრეზიდენტი წაუხალისებლად არც ზემოთ ჩამოთვლილ მოკრივეებს დატოვებენ.

**ჯემალ რაზმაძე.**
*რინგის ვეტერანი,*
*სპორტის ოსტატი.*

კალათბურთი

# თურქეთის გავლით – ავსტრიისკენ

**14-24 ივლისს ავსტრიაში გაიმართება 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონის ჯგუფური ეტაპის მატჩები, სადაც საქართველოს ნაკრების მეტოქენი უნგრეთის, შვედეთისა და ისრაელის ძლიერი გუნდები იქნებიან.**



ცხარე ბატალიების წინ მიხეილ ბერუაშვილისა და ზაზა გაბისონიას შეგირდები დღეს თურქეთში გაემგზავრნენ, სადაც ოსმალო თანატოლებთან 3 საწვრთნელ შეხვედრაში გამოცდიან ძალებს.

გაეცანით ახალგაზრდა „ჯვაროსანთა“ შემადგენლობას: ბექა ჩიკვილაძე („ალზასეტე“, ესპანეთი), გივი ბაქრაძე (კორიკო“, ფინეთი), აკაკი დვალიშვილი, ლევან ხმელიძე, ზურაბ მაჭავარიანი, რევაზ ჩაჩანიძე (ყველა – „ენერჯი ინვესტი“), იოსებ ლეჟავა, აკაკი ლომოური, ბექა ბექაური (ყველა – „სამედიცინო აკადემია“), ტარიელ თავართქილაძე („ბათუმი“), გიგა კვეტენაძე („სოხუმი“), გიორგი ნანიტაშვილი („დინამო“) და გიორგი რევაზიშვილი („მაქაბი“).

რაც შეეხება ესპანური „ვალენსიას“ ლეგიონერებს, გიორგი შარაბიძე პარტნიორებს უშუალოდ „ბრძოლის ველზე“ შეუერთდება, ხოლო თორნიკე შენგელიას საკითხს ეროვნული ნაკრების თავკაცი იგორ კოკოშკოვი გადაწყვეტს – არის ვარიანტი, რომ მან აგვისტოში ქვეყნის მთავარ გუნდში ითამაშოს.

**გიორგი შოთაძე**

რაგბი



# ნაბიჯი ფინალისკენ

**შარშან საქართველოს მორაგბეთა თასის ფინალში „ლელომ“ „ლოკომოტივი“ დაამარცხა.** წლევანდელ გათამაშებასაც ისეთი პირი უჩანს, რომ, შესაძლოა, გადამწყვეტ პაექრობაში ისევ ეს გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ლელოელებმა გასვლით მატჩში ქუთაისის „აიას“ აჯობეს 25:21, ხოლო რკინიგზელებმა „ბათუმი XV“-ს სძლიეს 24:15. განმეორებითი პაექრობები 7 ივლისს გაიმართება.

ჭადრაკი

# ნანას ვერ აჩერებენ

**სომხურ ჯერმუკში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის მეოთხე ტურნირი. შესანიშნავად ასპარეზობს ქართველი დიდოსტატი ნანა ძაგნიძე, რომელმაც 7 შესაძლებლიდან 6,5 ქულა(!) მოაგროვა.** ბოლო ტურში მან თანამემამულე მაია ჩიბურდანიძეს სძლია შავი ფიგურებით. წარმატებას მიაღწიეს რუსმა ტატიანა კოსინცევამ და ეკვადორელმა მარტა ფიერომ, რომლებმაც, შესაბამისად, ჩინელები – შენ იანი და მსოფლიო თასის მფლობელი სიუ იუჰუა დაამარცხეს. დაზავდნენ ელინა დანიელიანი – ლილით მკრტიჩიანი (ორივე – სომხეთი), პია კრამლინგი (შვედეთი) – ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ბაირა კოვანოვა (რუსეთი) – ჰოუ იფანი (ჩინეთი).



დღეისთვის სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ძაგნიძე – 6,5, კოსინცევა, მკრტიჩიანი – 5-5, ჰოუ იფანი – 4, სტეფანოვა, დანიელიანი, შენ იანი – 3,5-3,5, სიუ იუჰუა – 3, ჩიბურდანიძე, კრამლინგი – 2,5-2,5, კოვანოვა – 2, ფიერო – 1 ქულა.

**შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტური დარჩა.**

**ვაჟა დანელია**

მემორიალი

# გვახსოვხარ, ბაჩო!






**სპორტული ჟურნალისტიკის საერთაშორისო დღეს ჩვენმა კოლეგებმა ახლახან დაღუპული ახალგაზრდა კალმოსნის ბაჩო სვანიძის მემორიალი მიუძღვნეს.**

კუს ტბაზე გამართულ ხსოვნის მედიატურნირში ვაჟებმა მინიფეხბურთში იასპარეზეს, ხოლო გოგონებმა – პლაჟის ფრენბურთში. სარბიელზე გამოვიდნენ გაზეთების „ოლიმპის“, „სარბიელის“, ტელეკომპანიების „იმედის“, „რუსთავი-2“-ის, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, რადიოების „ჯაკოს“, „სტარფმ“-ის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, ფეხბურთის ფედერაციის, პრესის, სპორტ-მედიის ნაკრებები, აგრეთვე „გოლი. გე“ და ფოტორეპორტიორთა გუნდი „ვუვუზელა“.

სიმბოლურია, რომ 1924 წლის 2 ივლისს დაარსებული პროფესიული დღესასწაული ისეთივე უკომპრომისო ბრძოლებით აღინიშნა, როგორი ცხოვრების წესის ერთგულიც ბაჩო სვანიძე იყო.

ღირსეული გახლდათ ფინალისტებისთვის დაწესებული ჯილდოებიც: გამარჯვებულნი საცურაო აუზ „ოლიმპიკის“ ერთთვიანი აბონემენტით დასაჩუქრდნენ, ხოლო მეორე პრიზიორები დღეს საბილიარდო „აკურას“ სტუმრები იქნებიან, სადაც „მუნდიალის“ არგენტინა-გერმანიის მეოთხედფინალური მატჩის ყურებაც შეეძლებათ.

ჩოგბურთი

# სერენა თუ ვერა?

**დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელთა უიმბლდონის ტურნირი, რომელშიც გადამწყვეტი პაექრობების ჯერი დადგა. ქალთა ფინალში ზედიზედ მესამედ გააღწია ამერიკელმა სერენა უილიამსმა.** დაძაბულ ბრძოლაში მან ჩეხ პეტრა კვიტოვას სძლია 7:6 (5), 6:2 და ტიტულის დასაცავად რუს ვერა ზვონარიოვას დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში გზიდან ბულგარელი სვეტლანა პირონკოვა ჩამოიცილა – 3:6, 6:3, 6:2, მანამდე კი ბელგიელი იანინა ვიკმაიერი, სერბი ელენა იანკოვიჩი და ბელგიელი კიმ კლაისტერსი დაჯაბნა.

ინტერნეტიდან

## დამყარდება დასწრების რეკორდი?

**აფრიკის ტერიტორიაზე პირველად მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში შესაძლოა, უახლოეს დღეებში დამყარდეს აბსოლუტური რეკორდი მუნდიალის მატჩებზე დასწრების მიხედვით. როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორები ვარაუდობენ, მაყურებელთა რაოდენობა მალე ალბათ 3 მილიონს მიაღწევს.**

ფიქრობენ, რომ სამი მილიონი შესრულდება 11 ივლისს ფინალურ მატჩზე.

იტყობინებიან, რომ პირველ ორ ეტაპზე მაყურებელთა რიცხვმა 2,69 მილიონს გადააჭარბა. ჯერჯერობით კი რეკორდი აშშ-ში გამართულ ჩემპიონატს ეკუთვნის.

იმასაც ამბობენ, რომ უცხოელი ტურისტების ჩამოსვლით შემოსავალმა 6,5 მილიარდ რანდს (900 მილიონ დოლარს) მიაღწია. 11 ივლისისთვის კი მოელიან, რომ ის 9 მილიარდი რანდი იქნება. ეს მაშინ, როდესაც ეკონომიკური კრიზისის გამო ჩამოსული გულშემატკივრების რიცხვი მოსალოდნელი 700 ათასიდან 364 ათასამდე დაეცა.

## აბა, ჰე, ქალებო!

**ეს თითქმის გაშიშვლებული ქალიშვილები საყოველთაოდ საყვარელ ფეხბურთს სამხრეთ აფრიკაში კი არა, აქვე „მახლობლად“, გერმანიაში თამაშობენ.**

რათა გამარჯვების სულისკვეთებით აღავსონ სამხრეთ აფრიკაში მყოფი გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები, ბერლინის ცენტრში მსახიობმა ქალებმა ასეთი მატჩი გამართეს.



მინდორზე გასვლის წინ ისინი გაიყვნენ „გერმანიის ნაკრებად“ და „ავსტრალიის ნაკრებად“.

თუ რამდენი გოლი გაიტანეს ამ შეხვედრის დროს, ცნობილი არაა. თუმცა, გულშემატკივრების თქმით, შეხვედრაში ფეხბურთის ბურთიც მონაწილეობდა. მთავარი ისაა, რომ სიმულაციისთვის მსაჯს არც ყვითელი და არც წითელი ბარათი არ გამოუყენებია.

## ჩვენი კარაბადინი

### ყაბზობა სახიფათოა

**ჩვენი ქვეყნის ყოველ მეორე მცხოვრებს დღეს აწუხებს ყაბზობა (კუჭის შეკრულობა). რაფინირებული საკვები, სწრაფი კვება, მოუფიქრებელი დიეტები და თანამედროვე კვების სხვა ატრიბუტები – აი ბევრისთვის ცნობილი ყაბზობის ძირითადი მიზეზები. მათი შედეგები? რა ვიცით მათ შესახებ?**

### სილამაზისა და ახალგაზრდობის ძირითადი მტერი

**ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ვადამდელი სიბერე ყველაზე ჩვეულებრივი – ყაბზობის შედეგია. კოსმეტოლოგები ექიმების სიტყვებით, კუჭ-ნაწლავთა ცუდი მუშაობის გამო ორგანიზმში გროვდება ბევრი ტოქსინი. ამას მივყავართ იმასთან, რომ ირღვევა ნივთიერებათა ცვლა, თითქმის არ ხდება ვიტამინების ათვისება, ვითარდება ჟანგბადური შიმშილი. შედეგად ჩვენს ორგანიზმს სხვადასხვა მეტამორფოზა ემართება. უწინარეს ყოვლისა, სახეზე ჩნდება ჩირქოვანი გამონაყარი (ნუ აურევთ ახალგაზრდობის გამონაყარში!). კოსმეტოლოგები მათ „კუჭ-ნაწლავისას" უწოდებენ და ამბობენ, რომ ეს ის ტოქსინებია, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა გამოვიდნენ გარეთ ბუნებრივი გზით (კუჭ-ნაწლავით), „მოძვრებიან" ამ გზით.**



ხანგრძლივი ყაბზობის დროს „კუჭ-ნაწლავის" გამონაყარი შეიძლება გაჩნდეს ზურგზე და მკერდზე. მაგრამ ყველაზე საშიში კუჭ-ნაწლავის ცუდი მუშაობის გამო არის ის, რომ ადამიანი იწყებს მალე დაბერებას: კანი ჭკნება და მეტად ნაოჭიანი ხდება, იმტვრევა ფრჩხილები, იწყება თმების ცვენა.

### „მარწუხების დაავადება"

**ექიმი-კოსმეტოლოგები გვაფრთხილებენ ვადამდელი სიბერის შესახებ, ონკოლოგები კი საუბრობენ უფრო სერიოზული პერსპექტივის შესახებ. მსხვილი ნაწლავის კიბოს განვითარების გამოკვლევის დროს ონკოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ, ალბათ, ეს საშინელი დაავადება ასევე დაკავშირებულია ყაბზობასთან.**

ეს აიხსნება იმით, რომ მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში კუჭ-ნაწლავის ტრაქტს გადის დაახლოებით ათას ხუთასამდე კანცეროგენი. გასაგებია, რომ ყაბზობის დროს ეს მავნე ნივთიერებანი ყოვნდებიან ორგანიზმში. და რაც უფრო დიდხანს არიან ისინი მასში, მით მაღალია კიბოს განვითარების ალბათობა. ამიტომ კიბოს სიმსივნე ყველაზე ხშირად წარმოიქმნება გამომუშავებული პროდუქტების (განავალის მასების) თავშეყრის ადგილებში – ბრმა ნაწლავსა და სიგმისებრ ნაწლავში, თირკმელების კუთხეში და ა.შ.



განსაკუთრებით სარისკოა ეს ხანდაზმულებისთვის. მათ ხომ ყველაზე მეტად აწუხებთ ქრონიკული ყაბზობა, ამიტომაც ყველაზე ხშირად ავადდებიან კიბოთი.

### მიაქციეთ ყურადღება!

**ცხადი ხდება, რომ აუცილებელია გავთავისუფლდეთ ყაბზობისგან, უფრო უკეთესია კიდევ – საერთოდ არ დავუშვათ იგი! საჭიროა მხოლოდ მივმართოთ სპეციალისტს რჩევისთვის და ავირჩიოთ ყაბზობასთან ბრძოლის ჩვენი ინდივიდუალური ხერხი. უმჯობესია – ბუნებრივი და ყველაზე უვნებელი.**

მაგალითად, „ჩისტოვიტის" ხაზის პრეპარატები. მის საფუძველშია დიდი ოდენობის მცენარეული საკვები ბოჭკო – კუჭ-ნაწლავის მოქმედების „ძრავის" ბუნებრივი რეგულატორი. დღეისთვის დამტკიცებულია, რომ ამ ნივთიერებათა გამოყენება – ყაბზობასთან ბრძოლის ყველაზე ბუნებრივი საშუალებაა. როდესაც ჩვენს კუჭ-ნაწლავში მოხვდება, მცენარეული საკვები ბოჭკოები მსუბუქად მოქმედებენ მის „ძრავაზე" და აწესრიგებენ რეგულარულ კუჭის მოქმედებას. უფრო მეტიც, ისინი არიან შესანიშნავი სორბენტები, აკავშირებენ საკვებ ბოჭკოებს და ორგანიზმიდან გამოჰყავთ პრაქტიკულად ყველა მავნე ნივთიერება. ასეთი მოქმედებით „ჩისტოვიტი ველ"-ის პრეპარატები არა მხოლოდ ასუსტებენ, არამედ ჩვენს კუჭ-ნაწლავებს ანიჭებენ სიჯანსაღეს და საიმედოდ გვიცავენ ყაბზობისგან!

თამამად გამოიყენეთ „ჩისტოვიტ ველი" მრისხანე დაავადების პროფილაქტიკისთვის, ხოლო გაძლიერებული ფორმულა „ჩისტოვიტ ფორტე" – უკვე არსებული პრობლემის სწრაფი გადაწყვეტისთვის. „ჩისტოვიტის" საშუალებანი გვეხმარებიან შემთხვევების 90 პროცენტში, თუნდაც ყველაზე მიშვებულისა!

**შეკითხვებით შეიძლება მიმართოთ ტელეფონით: 8-800-505-20-02.**

## ინფორმაცია

# თვითმკვლელობა ოზურგეთში

**ოზურგეთში უბედური შემთხვევა მოხდა: 38 წლის, 2 შვილის დედა ოზურგეთის სამშობიაროს ფანჯრიდან გადმოხტა და დაიღუპა.**

ამ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, ოზურგეთის რაიონში სოფელ სილაურში მაცხოვრებელი ოზურგეთის სამშობიაროში სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს.

მთავარი ექიმის განცხადებით, მას ძლიერი სისხლდენა აღენიშნებოდა. მკურნალობის შემდეგ კი გაირკვა, რომ ქალი ნამშობიარები იყო, თუმცა იგი ბავშვის გაჩენას კატეგორიულად უარყოფდა.

საეჭვო ვითარების გასარკვევად მედპერსონალმა ეს ფაქტი პოლიციას აცნობა. სამართალდამცავებმა კი ქალის სახლში გარდაცვლილი ახალშობილი იპოვეს. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვი ჯანმრთელი დაიბადა.

გავრცელებული ინფორმაციით, ბავშვის გაჩენის წინააღმდეგი ქალის ოჯახი იყო, ამიტომ მან გადაწყვიტა მალულად, სახლის პირობებში ემშობიარა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო კი მისი საავადმყოფოში გადაყვანა გახდა აუცილებელი.

ექიმების განცხადებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. თავის მოკვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საქმეში პოლიცია ჩაერთო.

ХО-ЭИВ-ЭНО

## კარიკატურისტის თვალით



– გადამერია დედაკაცი, ძმაო მუსიკა წველადობას ზრდისო...

ამირან ერაძის ნახატი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

## ხსოვნა

# მამანტი პაჭკორია



96 წლის ასაკში ჩვენგან წავიდა ძველი თაობის უკანასკნელი მოჰიკანი, გამოჩენილი სამეურნეო, ადმინისტრაციული და სამეცნიერო-პედაგოგიური სფეროს მოღვაწე ბატონი მამანტი პაჭკორია, რომელიც მრავალმხრივი ნიჭიერებით ემსახურა ქვეყანას, ხალხს და დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ბატონი მამანტი პაჭკორიას საინტერესო ცხოვრებისეული და შრომითი ბიოგრაფია მაგალითია ყველა თაობის ადამიანებისათვის.

იგი დაიბადა 1915 წლის 26 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში. ცაიშის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1938 წელს წარჩინებით ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მუშაობას იწყებს პედაგოგად მშობლიურ სკოლაში და ზუგდიდის პედაგოგიურ ტექნიკუმში. შემდეგ მოწინავე ახალგაზრდა პედაგოგს აწინაურებენ რაიონის განათლების განყოფილებაში უფროს ინსპექტორად. 1939-1943 წლებში ნიჭიერი, ორგანიზატორული უნარით დაჯილდოებული პიროვნება რაიონის პროკურორია. 1943 წლიდან 1948 წლამდე იყო ზუგდიდის რაიონის პარტიის რაიკომის მდივანი, მეორე მდივანი. 1948-52 წლებში პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანია. ამ წლებში მისი თვალსაჩინო მოღვაწეობით დღესაც ამაყობენ ჩხოროწყუელები. მის სახელს უკავშირდება ჩხოროწყუს მაშინდელი აღმშენებლობა, ციტრუსოვანი კულტურების გაშენება, ჩხოროწყუს ელექტროსადგურის (ჩხორჰესის) მშენებლობა, რომელიც დღესაც წარმატებით ემსახურება მოსახლეობის მოთხოვნებს.

1952 წელს „მეგრელთა საქმის" გამო უსაფუძვლოდ იყო დაპატიმრებული. შემდეგ რეაბილიტირებულს კვლავ პარტიულ სამუშაოზე აბრუნებენ – ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივნად ირჩევენ. 1954 წლიდან იგი სამეურნეო სამუშაოზეა: იყო ზუგდიდის პირველი და მეორე, ცაიშის, ზედა ეწერის ორჯონიკიძის სახელობის ჩაის ფაბრიკების დირექტორი, ზუგდიდის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი. 1988 წლიდან მუშაობას იწყებს ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის ისტორიულ მუზეუმში უფროს მეცნიერ-მუშაკად, პარალელურად ლექციებს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალში და ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში.

ბატონმა მამანტიმ მეცნიერული მოღვაწეობა დაიწყო 1962 წლიდან. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე ნაშრომის – „ფოთისა და მისი ნავსადგურის ისტორია" წარმოჩენისთვის დამსახურებულად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. იგი 250-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და 11 წიგნის ავტორია. მისი წიგნების უმრავლესობა სამეცნიერო-ისტორიული ხასიათისაა. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: „ ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან და „რედუტკალე", „ბრძოლა ენგურის ნაპირებთან", „შორეული გამოძახილი", „დადიანები და მიურატები", „ლავრენტი ბერია და მეგრელთა საქმე", „სტრიქონები წარსულიდან", „ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს" და სხვა.

ყოველ ეპოქას ჰყავს თავისი საუკეთესო ადამიანები, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან და აკეთებენ ხალხის საქმეს, უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ეროვნულ ღირებულებებს, ავლენენ კაცურ-კაცობისა და მასშტაბური აზროვნების უნარს. სწორედ ასეთად გვევლინება ბატონი მამანტი პაჭკორია. შრომითი საქმიანობის ყველა სფეროში მან გამოავლინა სამართლიანობა, ნებისყოფის სიმტკიცე და შრომისმოყვარეობა.

წინააღმდეგობებით განვლილმა მომენტებმა ვერ შეარყია ბატონი მამანტის ცხოვრებისეული პოზიცია. იგი ბოლომდე დარჩა დადებითი პიროვნული თვისებების, უცვლელი ღირებულებების ერთგული, ამიტომ დაფასდა მისი მოღვაწეობა. მისი საქვეყნოდ აღიარების ნიმუშია 1947 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება. იგი მრავალი ორდენის, მათ შორის ლირსების ორდენის კავალერია. აქვს მრავალი საპატიო სიგელი. არჩეული იყო ზუგდიდის საპატიო მოქალაქედ.

აღსანიშნავია ბატონ მამანტის შესანიშნავი ოჯახი. მეუღლე ქალბატონი თინა იოსავა დამსახურებული პედაგოგი, შვილები – ნონა, ელენე, თამარი და ალექსი სანიმუშონი არიან, ისინი ღირსეულად მოღვაწეობენ და ერის საქმეს აკეთებენ. შვილიშვილები კი მომავალი სასახელო და საიმედო თაობაა.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბატონი მამანტი პაჭკორია სიცოცხლის უკანასკნელ მომენტამდე მხნედ, კოხტად და ვაჟკაცურად დაიარებოდა. იგი ამშვენებდა ზუგდიდს.

მშვიდობით ჩვენო ვალმოხდილო, მადლით და ღვაწლით მოსილო ადამიანო. თქვენისთანა ღირსეულ პიროვნებებს დავიწყება არ უწერიათ.

მეგობრების ჯგუფი

სკოლის მეგობრები: კარლო ვეკუა, ანზორ შონია, თენგიზ მეუნარგია, ვაჟა კეიდია, ოთარ ბულია, გოგი თოდუა, არსენა ლოლუა, კლიმენტი კიკალეიშვილი, ფელიქს იზორია, გენო კობახიძე, ლორე ქირია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ანზორ ჭითანავას ძმა, დიდებული პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი

ჯუმბერ ჭითანავა

და სამძიმარს უცხადებენ მას და განსვენებულის ოჯახს.

---

საზოგადოება „ზუგდიდელების" სახელით ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, მურმან ნაჭყებია, ანზორ შონია, ოთარ ჭითანავა, ჯემალ კვირტია, თამაზ გაფრინდაშვილი, ირაკლი კიზირია, კახა არდია, კუკური როგავა, ზურაბ ჩიქავა სამძიმარს უცხადებენ ანზორ ჭითანავას ძმის

ჯუმბერ ჭითანავას

გარდაცვალების გამო.

**სულიერება**

# მეფე არჩილი და ლუარსაბი

**4 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმიდა მოწამეებს არჩილს და ლუარსაბს.**

...მეფე არჩილმა თავისი მეფობის დროს მრავალი მომხდური დაამარცხა. ბოლოს არაბთა ლაშქრის მეთაურმა ჭიჭუამ ასიმმა თავისთან იხმო ქართველთ მეფე და დიდებულადაც ისტუმრა, შემდეგ მოსთხოვა სარკინოზთა სარწმუნოების მიღება, მაგრამ ღვთისმოსავი მეფე არ დაემორჩილა ურწმუნოებს. მაშინ განრისხებულმა ჭიჭუმმა იგი საპყრობილეში ჩასვა. მეფე გულმოდგინედ ევედრებოდა ღმერთს, მოენიჭებინა მისთვის ძალა სატანჯველთა დათმენისა. ის შეევედრა შემოქმედს კეთილად დაეცვა ეკლესია, გაეძლიერებინა ქრისტიანობა საქართველოში...

* * *

**...არჩილის მეფობიდან გავიდა 1000 წელი. მრავალი ჭირ-ვარამი გადაიტანა საქართველომ. საქართველოს მეფე გახდა გიორგი X-ის მემკვიდრე – ლუარსაბი. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოსთვის ერთმანეთს ებრძოდნენ თურქები და სპარსელები...**

...შაჰ-აბასმა შემოუთვალა ლუარსაბ მეფეს, რომ უარეყო ქრისტიანობა, მაგრამ ლუარსაბმა პასუხის ღირსადაც კი არ გახადა მოციქულები. განრისხებული მტერი, როგორც ათასი წლის წინათ მოექცა ქართლის მეფეს, ისე მოექცა მეფე ლუარსაბსაც – სიკვდილით დასაჯა იგი.



წმინდანებს არჩილს და ლუარსაბს ათასი წელი აშორებთ ერთმანეთს, მაგრამ საქართველოს ეკლესიამ მათი ხსენება ერთ დღეს დააწესა მათი ღვაწლისა და წამების გამო.

**გიული ლიპარტია**

**ყველაფერი ყველაფერზე**

## რითი აღარ მდიდრდებიან ადამიანები



**1998 წლის მიწურულში ბილ კლინტონის საქმე ისე იყო, რომ იმპიჩმენტისგან თითქოს აღარაფერი იხსნიდა. ზოგი ქალი უჩიოდა მეტისმეტი სექსუალური აქტივობის გამო, ზოგიც უბრალოდ ხმებს უვრცელებდა. კლინტონი ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ ბოლოს კონგრესის იურიდიული კომიტეტისგან საყვედურიც კი მიიღო ყალბი, გნებავთ, ცრუ მოწმეობისთვის, თუმცა საბოლოოდ იმპიჩმენტი მაინც თავიდან აიცილა.**

სამაგიეროდ, გამდიდრდა მისი ყოფილი საყვარელი მონიკა ლევინსკი, რომელმაც გამოსცა წიგნი, აღწერა, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა თავის მეგობარ ბილთან". იცოცხლეთ, ამ წიგნის შეძენის მსურველი ბევრი აღმოჩნდა.

## რის ბუდიზმი, რის ისლამი

**კამბოჯელთა ეროვნული რელიგია პოლ პოტის ბრძანებით გაუქმებულად გამოცხადდა. მისი ალიარებისთვის ადამიანები სიკვდილით ისჯებოდნენ. ქვეყნის 2800 ტაძრიდან ერთიც კი ვერ გადაურჩა დანგრევას. კამბოჯელთა ერთი ნაწილი მაჰმადიანი იყო. ცხადია, ეს რელიგიაც აიკრძალა. ერთი მეჩეთიც კი ვერ გადაურჩა. ყველაფერი მიწასთან გაასწორეს.**



„ქუჩებს სახელებიც კი არ დაუტოვეს, ბიბლიოთეკებს – წიგნები, საავადმყოფოებს – მედიკამენტები, სკოლები დასჯის სახლებად აქციეს",– წერდა გაზეთი „დეილი უორლდი" (აშშ).

## ტრიბუნალმა ასე დაადგინა

**პოლ პოტისა და იენგ სარის რეჟიმმა ოთხ წელიწადს გაძლო. შემდეგ მას ბოლო მოუღო ეროვნული ხსნის ერთიანმა ფრონტმა, რომელსაც ვიეტნამის არმია დაეხმარა. 1979 წელს 15-19 აგვისტოს დედაქალაქ პნომპენში გაიმართა კამბოჯის სახალხო-რევოლუციური ტრიბუნალი, რომელმაც განიხილა კამბოჯის ხალხის გენოციდის საკითხი, სადაც პირდაპირი დამნაშავეები სწორედ პოლ პოტი და იენგ სარი იყვნენ.**



კომისიებმა შეისწავლეს მთელი რიგი დანაშაულებრივი ამბები პნომპენსა და სხვა ქალაქებში, ის ზარალი, რაც განიცადა ეკონომიკამ, დანაშაული კულტურასა და სოციალურ სფეროებში. ტრიბუნალმა ორივე ეს ექსტრემისტული ლიდერი ადამიანების მასობრივ მოსპობაში დაადანაშაულა, ქალაქებიდან სოფლებში გადასახლებაში, მონური შრომის შემოღებაში, კამბოჯის 13 ეროვნული უმცირესობის ამოწყვეტაში.

პოლ პოტსა და იენგ სარის დაუსწრებლად სიკვდილი მიესაჯათ. ისინი ტაილანდში გაიქცნენ, შეეცადნენ თავიანთი რეჟიმის რეაბილიტაციას და საკუთარი დანაშაული არ ულიარებიათ.

მოამზადა **გივი გამრეკელმა**

**დღის კალენდარი** **3 ივლისი**

**მოწამეთა: ინასი, პინასი და რიმასი (IIIძ; მოწამეთა: არისტოკლე ხუცისა, დიმიტრი დიაკონისა და ათანასე წიგნის-მკითხველისა (დაახლ. 306ძ; მღვდელმოწამისა მეთოდისა, პატარელი ეპისკოპოსისა ( 312ძ; ლევკი აღმსარებლისა, ვრუნტისიოპოლელი ეპისკოპოსისა (Vძ; მოწამეთა: იოსტოსი და დულასი; მღვდელმოწამისა ავინკრიტესი და მისთანათა; ღირსისა იოსებ განშორებულისა.**



ამოდის 04.31
ჩადის 19.39



ამოდის 22.34
ჩადის 10.11

## დაიბადნენ:

1531 – **ალონსო კოელიო,** ცნობილი ესპანელი ფერმწერი, ფილიპე II-ის კარის მხატვარი, ესპანელი ეროვნული პორტრეტული სკოლის ფუძემდებელი.
1738 – **ჯონ კოპლი,** ამერიკელი ფერმწერი. გარდაიცვალა 1806 წელს.
1815 – **პაველ ფედოტოვი,** რუსი მხატვარი. გარდაიცვალა 1852 წელს.
1848 – **რობერტ პლანკეტი,** ფრანგი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1903 წელს.
1883 – **ფრანც კაფკა,** ავსტრიელი მწერალი. გარდაიცვალა 1924 წელს.
1929 – **იური ზიცარი,** ბასკოლოგ-ქართველოლოგი.
1935 – **ჰარისონ შმიდტი,** ამერიკელი „მთვარის" ასტრონავტი.
1962 – **ტომ კრუზი,** ცნობილი ამერიკელი კინომსახიობი.

## გარდაიცვალნენ:

1833 – **ჟოზეფ ნიეპსი,** ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი.
1904 – **თეოდორ ჰერცლი,** ავსტრიელი ებრაელი ჟურნალისტი და პოლიტიკოსი, პოლიტიკური სიონიზმის დამაარსებელი.

## მოვლენები:

**1608 წელი** – დაარსდა კანადის ქალაქი კვებეკი.
**1908 წელი** – დაიწყო ახალგაზრდა თურქების რევოლუცია.
**1928 წელი** – ამერიკაში დაიწყეს პირველი ტელევიზორების გაყიდვა, რომლის ფასიც 75 დოლარი იყო.
**1973 წელი** – ჰელსინკში მუშაობა დაიწყო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭომ.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ალჟირი** – დამოუკიდებლობის დღე.
**ვირჯინიის კუნძულები** – ემანსიპაციის დღე.
**ბელორუსი** – დამოუკიდებლობის დღე.
**ალტაის რესპუბლიკა** – შექმნის დღე.

**მედიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

**კადრი**



**ანეკდოტები**

საცურაო აუზში ჩადის 4000 ლიტრი წყალი, გამოდის – 4010 ლიტრი...
კითხვა: გააჩნიათ სინდისი სპორტსმენ-მოცურავეებს?

* * *

– ქალიშვილო, დღეს საღამოს რას აკეთებთ?
– დამირეკეთ ხვალ დილით და ყველაფერს გეტყვით!

* * *

სოფლად.
– მეზობელო, კიდევ ვიყიდე 10 ჰექტარი ყოფილი საკოლმეურნეო მიწა!
– განა არა, მიკვირდა, შენმა ხარებმა რატომ ჩამოიხრჩვეს თავი!



* * *

განცხადება სასაფლაოზე:
„მოქალაქეთა საყურადღებოდ: დაკრძალვები ცოცხალი რიგის მიხედვით!"

* * *

შე საძაგელო, მთელი ცხოვრება მომიშხამე, მთელი ახალგაზრდობა შენ შემოგწირე! – გაისმის ქალიშვილის ტირილი.
– შვილო, დიპლომის წყევლას აღარ უნდა შეეშვა? – ეკითხება დედა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150.
ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.